# საერთო გაზეთი

№37 (629)
ოთხშაბათი
13 ოქტომბერი, 2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## „ქართული ოცნების“ უკანასკნელი მოჰიკანი



**თუ ქვეყნისადმი ერთგული სამსახური დანაშაულია, ირაკლი ღარიბაშვილს ბევრი „დანაშაული“ აქვს ჩადენილი**

– ჩემი უფროსი არ არის ევროპარლამენტარი. ჩემი უფროსია ქართველი ხალხი!

**როცა შენი ქვეყნისთვის გამორჩეულად დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებ, ჯერ შენიანების უნდა გეშინოდეს, მერე – მტრების**



## მიხეილ მაოხრებლის დაბრუნება

**მაქვს იდეა:** გააცოცხლოს სააკაშვილმა მის დროს მოკლული ადამიანები: სანდრო გირგვლიანი, გურამ შარაძე, სერგო თეთრაძე, ირინა ენუქიძე,სულხან მოლაშვილი, გია კრიალაშვილი, სხვები და სხვები, ასევე ქუჩაში დახოცილი 150 ახალგაზრდა, დააბრუნოს კოდორი, ახალგორი, ყველას დაუბრუნოს წართმეული ქონება და მეორე დღესვე გავუშვებთ ციხიდან



## თუ ვინმეს სააკაშვილის სიკვდილი გაუხარდება, ეს, პირველ რიგში, ნაცმოძრაობაა...

## ბატონო ჯიმი, უმადურობის სენი შეეყარა თქვენს ძმისშვილს და სანამ დროა, მიხედეთ!



**ლუკა კურტანიძე:** სანამ „ქართული ოცნების“ სახით, ბიძინა ივანიშვილის იდეა იცოცხლებს, მანამ ამ პარტიის მხარდამჭერი ვიქნები



**მერაბ შათირიშვილი:** ახლა, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენების დრო არ არის. ერი უნდა გაერთიანდეს და 30 ოქტომბერს მტარვალებისგან ქვეყნის გადარჩენას უნდა მისცეს ხმა



**გრიგოლ გაგნიძე:** საქართველოსთვის წამებული ზვიად გამსახურდიას სახელის გვერდით საქართველოს მწამებელი სააკაშვილის ხსენება კი მკრეხელობა და დანაშაულია!

## ქალის კაბაში გადაცმული „ძველი ბიჭები“









## „გუბერსკის“ ციხის პატიმრის მოგონებები

# საქართველო მოუხმობლებს უხმობს!

# „ქართული ოცნების“ უკანასკნელი მოჰიკანი

## თუ ქვეყნისადმი ერთგული სამსახური დანაშაულია, ირაკლი ღარიბაშვილს ბევრი „დანაშაული“ აქვს ჩადენილი



**ვახტანგ ხარჩილავა:**

უკვე გადაწყვეტილია — არჩევნების II ტურის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი გადადგება — აი, ამ ჭორს ინტენსიურად ავრცელებენ ნაციონალები სოციალურ ქსელებში, რასაც აქტიურად უბამენ მხარს „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზიები და მათში მომუშავე ჯიბის ჟურნალისტები.

მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო, ნათქვამია.

სწორედ ასეა ნაცების საქმეც — მელას, მელიას და მელირებულ მგელს, სააკაშვილს, რაც ელანდებათ, ესენი სიზმრებში ხედავენ და მერე სიზმრად ნანახს ისე ჰყვებიან, როგორც ნამდვილ ამბავს.

ჩვენს მრავალჭირნანახ, მრავალგანსაცდელგადატანილ ქვეყანაში მრავლად არიან ადამიანები, რომლებსაც ამ 30 წლის განმავლობაში იმდენი უბედურება, იმდენი შური, უმადურობა და გაუტანლობა უნახავთ, მსგავს ჭორებს ადვილად იჯერებენ და ამის გამო ვერც გაამტყუნებ — იმდენი ტრაგიკული მაგალითი უდევთ წინ, იმდენ ღირსეულ მამულიშვილს გაუმწარეს ცხოვრება, ეშინიათ, ამჯერად ირაკლი ღარიბაშვილს არ მიაყენონ რაიმე ზიანი ავაზაკებმა.

**საქართველოში თუ რაიმეს არ პატიობენ ადამიანებს, პირველ რიგში, არ პატიობენ სამშობლოს სიყვარულს, სამშობლოსათვის თავდადებას და თავგანწირვას.**

ჩემი აზრით, შური და ამბიციურობაა ამის მიზეზი — ყველა ქართველს სურს გმირი იყოს, მაგრამ გმირი რომ გახდე, თავგანწირვისთვის მზად უნდა იყო, თავგანწირვა კი ყველას არ შეუძლია და, აი, ვისაც ეს შეუძლია, მისი შურთ, შეიძლება ითქვას, სძულთ კიდევაც.

ამიტომ, **როცა შენი ქვეყნისთვის გამორჩეულად დიდ და მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებ, ჯერ შენიანების უნდა გეშინოდეს, მერე — მტრების.**

საქართველოს ისტორია სავსეა მსგავსი მწუხარე მაგალითებით — ჯერ მოგკლავენ, მერე მკვდარს გაგაღმერთებენ, ჯერ ტყვიას დაგახლიან შუბლში, მერე ნატყვიარ თავზე დაფნის გვირგვინს დაგადგამენ.

კონკურენტად, მეტოქედ, სახელის შემცილედ მიაჩნიხართ და ამიტომ ცოცხლები არ უყვართ საქართველოში, თორემ მკვდრებზე მზე და მთვარე ამოსდით.

●

როგორც ვთქვი, საქართველოში ქვეყნის სიყვარული, ქვეყნისთვის თავდადება ლამის დანაშაულს უტოლდება, დანაშაულისთვის კი, ცხადია, სასჯელსაც უნდა ელოდო, როგორც შენიანებისგან, ასევე უცხოთაგან, რომლებსაც ძალიან, ძალიან ეყვარები, თუ შენი სამშობლო მაინცდამაინც დიდად არ გეყვარება და ქვეყნის ინტერესებზე წინ მათ ინტერესებს დააყენებ.

ქართველ ხალხს გულწრფელად უყვარს ირაკლი ღარიბაშვილი, რადგან ირაკლი ღარიბაშვილსაც გულწრფელად უყვარს ქართველი ხალხი და საქართველო.

არ მახსენდება თუნდაც ერთი შემთხვევა ირაკლი ღარიბშვილის არც ისე ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, მას რაიმე ისეთი ნაბიჯი გადაედგას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ქართველი ხალხის ინტერესებთან, ეს კი ვიღაც-ვიღაცების თვალში არც ისე მოსაწონი საქციელია.

ესეც ჩვენი ბედისწერა ყოფილა — თავზე ჩალმა უნდა გეხუროს და ალაჰს უნდა იფიცებდე, გულზე კი ჯვარი უნდა გეკიდოს და ქრისტესთვის უნდა კვდებოდე.

დღეს სხვა დროა, სხვა ჩალმა გვახურავს თავზე — მოდერნიზებული, სტილიზებული ჩალმა, სულ რომ არ ჰგავს ჩალმას და ალაჰსაც ალაჰი კი არა, სულ სხვა სახელი ჰქვია, თუმცა ეს არაფერს ცვლის — ურთიერთობების ქვეტექსტი და შინაარსი თითქმის იგივეა.

**ირაკლი ღარიბშვილს არ უკადრია „ჩალმით“ ევლა ამ ქვეყანაზე, მას არ დაუმალავს, რომ მისი უმთავრესი და უპირველესი მოვალეობაა, ემსახუროს ქართველ ხალხს.**

**— ჩემი უფროსი არ არის ევროპარლამენტარი. ჩემი უფროსია ქართველი ხალხი!** — ასე უპასუხა ბატონმა ირაკლიმ რეპლიკას, რომლითაც მას შეახსენეს, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა.

შეიძლება მე არ მახსოვს და იქნებ ვინმემ შემახსენოს: დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ზვიად გამსახურდიას გარდა, ამ 30 წლის განმავლობაში, რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს უთქვამს მსგავსი ფრაზა?

**პირველად საქართველოში, ირაკლი ღარიბშვილის პრემიერობის დროს, რეალური სახე მიიღო ლელთ ღუნიას ისტორიულმა ანდერძმა: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.**

იმ დროს, როცა ჩვენი **უ-თავ-ბოლობის** და **უ-თავ-მოყვარეობის** გამო ლამის თავი დავკარგეთ და **უთავო მხედრებად** ვიქეცით, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამოხატულმა მკვეთრმა და პრინციპულმა პოზიციამ თავისი ადგილი მიუჩინა ბევრ რამეს და ჩვენი დასავლეთელი მეგობრების და პარტნიორების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ დადებითად შეცვალა.

ბევრჯერ მითქვამს და აქაც გავიმეორებ: საქართველოს თავისი ისტორიული არჩევანი დასავლეთთან მიმართებაში დიდი ხანია გაკეთებული აქვს. აქედან გამომდინარე, ზედმეტი და უადგილო მგონია დასავლეთის მხრიდან საქართველოსთვის გამუდმებით იმის შეხსენება, რომ ქვეყანამ დასავლურ ორიენტაციას არ უნდა გადაუხვიოს.

სად უნდა გადავუხვიოთ, როგორ უნდა გადავუხვიოთ, როდესაც ამ გადასახვევს კარგა ხანია გავცდით და იმ გზაზე გავედით, რომელიც მხოლოდ წინ მიდის და გადასახვევები და შესახვევები არ აქვს.

საქართველოს, განსაკუთრებით მის ამჟამინდელ ხელისუფლებას, დასავლეთთან მიმართებაში არაფერი აქვს შესაცვლელი, თუმცა დასავლეთს ნამდვილად მართებს, კორექტივები შეიტანოს ურთიერთობის იმ ფორმებში, რომლებიც მას საქართველოსთან აქვს და რომლებიც დიდი ხანია გაცვდა, მოძველდა და არაფრისმომტან ტრაფარეტად და შაბლონად იქცა.

ვრცელი და რთული თემაა ეს და ამჯერად ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს: როგორც არ უნდა შეცვალოს მეორე მხარემ დამოკიდებულება ჩვენს მიმართ, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას არავინ გვაჩუქებს, ის ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ ჩვენი შრომით და ბრძოლით, ჩვენი პრინციპულობით, ჩვენი ერთგულებით ქვეყნის ინტერესებისადმი.

თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქართველი კაცი მოცემულ ვითარებაში, პოლიტიკოს ირაკლი ღარიბაშვილის მოღვაწეობა ამის ნათელი მაგალითია.



●

თუ ქვეყნისადმი ერთგული სამსახური დანაშაულია, ირაკლი ღარიბაშვილს ბევრი „დანაშაული“ აქვს ჩადენილი.

ირაკლი ღარიბაშვილი იყო ის პოლიტიკოსი, რომელიც წინ აღუდგა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. მან აღადგინა გაუქმებული ქართული ენის პალატის ბაზაზე ქართული ენის სახელმწიფო სამსახურის სტრუქტურა. მის დროს იქნა მიღებული მთის კანონი, რომელმაც საფუძველი დაუდო მთის აღორძინების საშვილთაშვილო საქმეს მისი ინიციატივით მოხდა დავით გარეჯის თემის წამოწევა. ირაკლი ღარიბაშვილის პრინციპული პოზიციის წყალობით აღკვეთილი იქნა ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა — ლგბტ პრაიდის კვირეულის ჩატარების მცდელობა. მისი ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭის წყალობით, მოკლე დროში მოხერხდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ახალ სიმაღლეებზე აყვანა, ქართული ჯარის გაძლიერება, სამხედრო ტექნიკის უახლესი ტექნოლოგიების იარაღით შევსება და გაძლიერება. ირაკლი ღარიბაშვილის სახელს უნდა დავუკავშიროთ შარლ მიშელის დოკუმენტის ანულირების ფაქტიც, აგრეთვე „ქართული ოცნების“ სერიოზული წარმატება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ირაკლი ღარიბაშვილის ძალისხმევით მოხერხდა დიდი ხნის განმავლობაში ძებნილი პირების ექსტრადირება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მრავალი მძიმე დანაშაულის გამო მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილის დაკავება, რომელიც ფილიგრანული ოსტატობით ჩაატარეს ძალოვანმა სტრუქტურებმა, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქართული სახელმწიფო ჩამოშლილი კი არ არის, როგორც ამას „ქართული ოცნების“ ოპონენტები ამბობენ, არამედ ძლიერი და კარგად ორგანიზებული სახელმწიფოა, რომელსაც ძალა შესწევს, ნებისმიერ გამოწვევას პასუხი გასცეს.

ნახეთ, რამდენი „დანაშაული“ აქვს თურმე ჩადენილი ირაკლი ღარიბაშვილს? ასეთ კაცს ბევრი მტერი რომ ეყოლება შინ და გარეთ, რომლებიც მის დასჯას შეეცდებიან, სულაც არ არის გასაკვირი.

●

არ მიყვარს ამაზე საუბარი, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ვთქვა: მე ვარ ის კაცი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღეებიდანვე მონაწილეობას იღებდა ახალი პოლიტიკური მოძრაობის, ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის საფუძვლის ჩაყრაში.

ეს მერე მოაწყდნენ ადამიანები გადარჩენის და იმედის კუნძულადქცეულ ბიზნეს-ცენტრს სოლოლაკში, თორემ თავიდან სულ რამდენიმე ადამიანი ვიყავით იქ და ქვეყნის გადასარჩენად თავგადადებული კაცის, ბიძინა ივანიშვილის კარნახით, ახალი საქართველოს ისტორიის პირველ სტრიქონებს ვწერდით.

ასე რომ, მე უშუალო მოწმე და თვითმხილველი ვარ, თუ როგორ იწყებოდა „ქართული ოცნება“.

ალბათ, დადგება დრო და



აუცილებლად დავწერ ამის შესახებ, ახლა კი ერთ რამეს ვიტყვი: საქართველომ ბოლომდე არ იცის, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი და როგორ გადადო მან თავი ქვეყნის გადასარჩენად, როგორ შეაგდო სასწორზე თავისი და თავისი ოჯახის სიცოცხლე და უსაფრთხოება, როგორ რისკზე წავიდა და როგორი თავგანწირვით გადაეშვა სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმთან ომში.

ვიღაც-ვიღაცები სხვადასხვა ვერსიებს ავრცელებენ — ერთი ვერსიის მიხედვით, ივანიშვილი ამერიკელებმა მოიყვანეს, მეორე ვერსიით — რუსებმა გამოუშვეს საქართველოში სპეციალური დავალებით.

ერთიც მტკნარი სიცრუეა და მეორეც — **ბიძინა ივანიშვილი არც ამერიკელებს მოუყვანიათ და არც რუსებს — მან თვითონ, დამოუკიდებლად მიიღო ეს გადაწყვეტილება**, მიიღო დიდი შინაგანი ჭიდილის და ყოყმანის შემდეგ და ეს ძალიან კარგად იციან იმ ადამიანებმა, რომლებიც 2009–2011 წლებში ახლო ურთიერთობაში იყვნენ ბატონ ბიძინასთან.

გამარჯვების შემდეგ იოლია ამა თუ იმ ფაქტზე საუბარი.

2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, მაგრამ, აბა, ერთი წუთით დავუშვათ, რომ „ქართული ოცნება" დამარცხებულიყო.

ხომ ადვილი წარმოსადგენია, რა საფრთხის წინაშე დადგებოდა ბიძინა ივანიშვილი და ყველა ის ადამიანი, ვინც მის გვერდით იდგა.

ბატონი ბიძინა, როგორც წინდახედული და პრაგმატული ადამიანი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად აცნობიერებდა, რა დამანგრეველი ძალის შეიძლებოდა ყოფილიყო „ნაცმოძრაობის" სასტიკი და დაუნდობელი შურისძიება, მაგრამ მაინც არ დაიხია უკან.

სწორედ ამ საზომით უნდა შეფასდეს ბიძინა ივანიშვილის გმირობისა და თავგანწირვის მასშტაბები და არა მხოლოდ იმით, როგორ და რანაირად იქნა მიღწეული გამარჯვება.

**ამ დიდი ომის მოსამზადებელ ბატალიებში იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, როცა „ქართული ოცნების" პოლიტიკური წინსვლისა და განვითარების ბედი პირდაპირ დაუკავშირდა ირაკლი ღარიბაშვილსა და მის ოჯახს.**

საკმარისი იყო, ირაკლი ღარიბაშვილსა და მის ოჯახს სისუსტე გამოეჩინა, ვერ გაეძლო უმძიმესი ფსიქოლოგიური წნეხისთვის და კომპრომისზე წასულიყო, ამას შეიძლებოდა ისეთი ბზარი გაეჩინა „ქართულ ოცნებაში", რომელიც აუცილებლად ნაპრალად გადაიქცეოდა და „ქართული ოცნების" ახლად შეკრულ მონოლითურ სხეულს რღვევით და დაშლით დაემუქრებოდა.

საქმე ეხებოდა ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს, რომელიც ნაციონალებმა შეთითხნილი ბრალდებით (გენერალ კაცს ჟანგიანი ავტომატი ჩაუდეს მანქანის საბარგულში) დააპატიმრეს, უფრო ზუსტად, მძევლად აიყვანეს, ხოლო ირაკლი ღარიბაშვილს შემოუთვალეს: დატოვე „ქართული ოცნება" და შენს სიმამრს ხვალვე გავათავისუფლებთ, შენ კი მაღალ თანამდებობაზე დაგნიშნავთო.

მე მახსოვს უკიდურესად შეწუხებული, თვალზე ცრემლმომდგარი ბიძინა ივანიშვილი, სასოწარკვეთილი ხმით რომ ამბობდა: ჩემს გამო დაიჭირეს ეს კაცი, მაგას რომ რამე დაემართოს, როგორ შევხედო ნუნუკას თვალებში?

არადა, საფრთხე რეალური იყო — არ არსებობდა არავითარი გარანტია, რომ ნაციონალები თამაზაშვილს ცოცხალს დატოვებდნენ.

მიუხედავად ამისა, ნაციონალების „ჰუმანურ" შემოთავაზებაზე ღარიბაშვილის ოჯახისგან მტკიცე და კატეგორიული უარი ითქვა.

ნამდვილი გმირობა ჰქვია იმას, რაც მაშინ ირაკლი ღარიბაშვილმა და მისმა ოჯახმა გააკეთა.

ეს იყო არა პირადი კეთილდღეობისთვის, არამედ ქვეყნისთვის დაუნანებლად გადადგმული გმირული ნაბიჯი, რომელიც, საბედნიეროდ, კარგად დამთავრდა.

ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც პოლიტიკოსის, ბიოგრაფია, მჭიდროდ არის გადაჯაჭვული „ქართული ოცნების" ბიოგრაფიასთან.

ის, როგორც პოლიტიკოსი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, „ქართული ოცნებიდან" იწყება და მასში გრძელდება, როგორც მისი ორგანული ნაწილი.

„ქართულ ოცნებას" ხშირად საყვედურობენ, თითქოს მას არ გააჩნია მკვეთრად გამოხატული იდეოლოგია და პლატფორმა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

თვალი გაადევნეთ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებულ საქმეებს, მის გადაწყვეტილებებს და მიხვდებით, რომ ის ზუსტად მიჰყვება იმ იდეოლოგიურ ხაზს, რითაც „ქართული ოცნება" ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა და „ნაცმოძრაობის" მიერ დამკვიდრებული ფსევდო-კოსმოპოლიტური და ფსევდო-გლობალისტური იდეების საპირწონედ თან მოიტანა ეროვნული ფასეულობების და ეროვნული ღირებულებების მსახურების კონცეფცია, როგორც ქართული სახელმწიფოს განვითარების უმთავრესი პრიორიტეტი. „ქართულმა ოცნებამ" დააბრუნა ჩვენს ცნობიერებაში ნაცების მიერ განდევნილი დიადი სიტყვა „სამშობლო" და „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი".



**ამ სამშობლოს „გასაკვირველ" გრძნობას ემსახურება თხემით ტერფამდე ქართველი კაცი ირაკლი ღარიბაშვილი, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი „უკანასკნელი მოჰიკანი", ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იმ შეწირულთა ლაშქრიდან, რომელმაც 2011–12 წლებში შინაური დამპყრობლების ბანდა დაამარცხა.**

●

ერთი ქუთაისელი ძმაკაცი მყავდა, ნამდვილი კოლორიტი, უჭკვიანესი კაცი.

ვიღაცის ნათქვამი რომ არ მოეწონებოდა, ასეთ რამეს ამბობდა ხოლმე: ეშლებათ, ძმაო, ამათ — სახე მაქვს ცოტა სულელური, თორემ სულელი კი არ ვარ, ესენი მოტყუებას რომ მიპირებენო?!

**ჩვენ, „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა პირველი თაობის წარმომადგენლებს, შეიძლება ცოტა გულუბრყვილო გამომეტყველება გვაქვს, მაგრამ სულელები კი არ ვართ — ყველაფერს ვხედავთ, ყველაფერს ვაკვირდებით, ყველაფერს ვაანალიზებთ და ერთ მშვენიერ დღეს პასუხს მოვთხოვთ ყველაფერზე იმ ადამიანებს, რომლებიც წლებია უკვე იმ საყრდენს უჩხიკინებენ, რომელზეც „ქართული ოცნების" შენობა დგას.**

ვერ გაუძლებს ამდენ ჩხიკინს ეს საყრდენი, ჩამოიშლება ეს შენობა და, პირველ რიგში, თქვენ მოგიყოლებთ ნანგრევებქვეშ, თქვენ, ვისაც გგონიათ, რომ სახლს საძირკველი და საყრდენი არ სჭირდება და მისი აშენების დაწყება ჰაერშიც შეიძლება, ვთქვათ და, პირდაპირ მეათე სართულიდან.

მეათე წელია, „ქართული ოცნება" არსებობს.

**ირაკლი ღარიბაშვილის გარეშე შეიძლება „ქართულმა ოცნებამ" რამდენიმე ხანს კიდევ იარსებოს, მაგრამ ეს არ იქნება „ქართული ოცნება" — ეს იქნება რაღაც სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია ძველი სახელწოდებით.**

●

„რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არი? ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი".

ქარიც ჩანს, შრიალი კი არა, გუგუნი ისმის და იმასაც ნათლად ვხედავთ, რა ამოძრავებს და რა არყევს ასე ძალუმად „კიპარისის ტანს".

593 44 04 01

# საქართველო მოუხმობლებს უხმობს!

**„დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!"**

**დღეს არა, 17 დღის შემდეგ, 30 ოქტომბერს, გამოჩნდება, გვიყვარს თუ არა მამული...**

**„ქართული ოცნება", „ნაცმოძრაობა", „ლელო" და „გირჩი" გვიყვარს კი არა, 30 ოქტომბერს გაირკვევა, გვიყვარს თუ არა საქართველო და შეგვიძლია თუ არა მისთვის მცირედი რამ, ერთი ხმა გავიღოთ?!**

**სიცოცხლის გაღებას არავინ გთხოვთ, შეგიძლია თუ არა შენი ერთი ხმა შეაწიო განსაცდელში ჩავარდნილ შენს სამშობლოს, ამაზეა ლაპარაკი.**

**თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზუგდიდს, თელავს, მტერი რომ მოსდგომოდა დასაპყრობად, დარწმუნებული ვარ, ხმალს თუ კომბალს წამოავლებდი ხელს და უყოყმანოდ ჩაებმებოდი ომში მათ დასაცავად.**

**30 ოქტომბერსაც ომია, მართალია, მშვიდობიანი სიტყვა არჩევნები კი ჰქვია, მაგრამ, სინამდვილეში, ომია, ხოლო ის ძალა, რომელიც საქართველოს ამ ყველაზე დიდი ხუთი ქალაქის წართმევას გვიპირებს, ნამდვილი მტერია.**

**ეს ის მტერია, რვა წლის განმავლობაში რომ გვაოხრებდა, გვაჩანაგებდა, ქუჩაში გვხოცავდა, ციხეებში გვყრიდა, გვაწამებდა, გვაუპატიურებდა, ჩვენს დაბეჩავებას და დამონებას ცდილობდა.**

**აი, ეს მტერი ცდილობს უკან, ხელისუფლებაში მობრუნებას, მაგრამ ამ მიზანს რომ მიაღწიოს, ჯერ ეს ქალაქები უნდა ჩაიგდოს ხელში.**

**ამ ხუთი ქალაქის გარეშე რა დარჩება საქართველოსგან?**

**არა „ქართულ ოცნებას", არა „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატებს, არამედ საქრათველოს უნდა დავუდგეთ გვერდით, როგორც ეს არაერთხელ გაგიკეთებიათ ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტებში.**

**მოუხმობლებს გეძახიან თქვენ, რადგან, სანამ ძალიან არ დასჭირდებით, მანამდე არავის ახსენდებით და არავინ გიხმობთ, არადა, თქვენ ხართ საქართველოს ოქროს რეზერვი, შინაგანად ყველაზე აქტიური ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომლებიც საჭირო დროს ერთბაშად ავლენთ ეროვნულ ენერგიას და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ირაზმებით.**

**არ არის გამორიცხული, არც ახლა დაგიძახონ, არც ახლა მოგიხმონ, მაგრამ ნუ დაელოდებით ვინმეს დაძახებას — ერთმანეთს გადასძახეთ, ერთმანეთი მოიძიეთ და ასე შეკარით დიდი სახალხო ლაშქარი იმ ხუთი ქალაქის დასაბრუნებლად და გადასარჩენად, რომელთა გარეშეც საქართველოს იოლად დაამარცხებენ გათამამებული და გათავხედებული ავაზაკები, რომლებიც ახლა კოალიციაზე საუბრით ცდილობენ ქართველი ხალხის მოტყუებას, რუსთავის ციხეში კი ბელადად და წინამძღოლად სისხლსმოწყურებული, შურისძიებით და რევანშით შეპყრობილი ძოპიროსი უზით...**

**2021 წლის 30 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური თავისი მნიშვნელობით, თითქმის უტოლდება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს.**

**30 ოქტომბრის გამარჯვებით ან საბოლოოდ განვამტკიცებთ და გავამყარებთ 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებას, ან დავასუსტებთ და საფრთხეს შევუქმნით ამ უდიდეს მონაპოვარს.**

**როცა რეკს ზარი, ნუ იკითხავთ, ვის უხმობს იგი...**

**ის გიხმობთ თქვენ, ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე.**

**საქართველო მოუხმობლებს მოუხმობს!!!**

**„საერთო გაზეთი"**

# მიხეილ მაოხრებლის დაბრუნება



**მაქვს იდეა: გაცოცხლოს სააკაშვილმა მის დროს მოკლული ადამიანები: სანდრო გირგვლიანი, გურამ შარაძე, სერგო თეთრაძე, ირინა ენუქიძე, სულხან მოლაშვილი, გია კრიალაშვილი, სხვები და სხვები, ასევე ქუჩაში დახოცილი 150 ახალგაზრდა, დააბრუნოს კოდორი, ახალგორი, ყველას დაუბრუნოს წართმეული ქონება და მეორე დღესვე გავუშვებთ ციხიდან**

## ირაკლი ღარიბაშვილის წერილის კვალდაკვალ



**გელა ზედელაშვილი:**

6 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართულ საზოგადოებას ღია წერილით მიმართა. წერილში საუბარია ბოლო დღეების მოვლენებზე, უფრო კი მიხეილ სააკაშვილის ჩამოხეტებაზე, რამდენიმედღიან „მოღვაწეობასა" და შემდეგ ვირის აბანოში გამწესებაზე. ვირის აბანოში-მეთქი, ისე ვამბობ, ძველების გამონათქვამს ვიმეორებ, თორემ ძაან გაწკრიალებულ ოთახში კი შეაგდეს. თვითონაც გაჰკვირვებია, ციხეების მხრივ შესამჩნევად განვითარებულა ჩემი სამშობლო, ყოჩაღ, „ქართულ ოცნებასო". მიუხედავას იმისა, რომ ეს საქონელი ფაქტობრივად კურორტზე იმყოფება, მაინც გამოდის ხმები, დახურულ სივრცეში გიჟდება, კედლებს ღრღნის, საკუთარ „ტრუსიკს" ღეჭავს, პერიოდულად იატაკზე დახოხავს და ღნავის: „პუტინ ი ბიდზინა კაპუტ"-ო!

რატომ ჩამოეხეტა საქართველოში, რა რჯიდა, რა უნდოდა, რატომ ჩაიგდო უნდილ გოგრასავით თავი ამ დღეში? სწორედ ამ თემაზე გამოთქვამს პრემიერ-მინისტრი თავის მოსაზრებას:

„მეგობრებო, ალბათ ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ფიქრობს, რა ამოძრავებდა მიხეილ სააკაშვილს, როდესაც საქართველოში თავისი ავანტიურისტული ჩამოსვლა დაგეგმა. ვერსია სხვადასხვა შეიძლება იყოს. ზოგი ფიქრობს, რომ ძალაუფლების დაბრუნების წყურვილმა, ეგოიზმმა და „ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერებზე ეჭვიანობამ სძლია და ყურადღების ცენტრში მოსაქცევად, შეგნებულად ჩაჯდა ციხეში. ზოგი ფიქრობს, რომ ხელისუფლების გადატრიალების განზრახვით დაბრუნდა, რის წარმატებაშიც ღრმად იყო დარწმუნებული. საუბრობენ იმაზეც, რომ ნარკოტიკებზე მძიმე დამოკიდებულების ფონზე, თავისი გადაწყვეტილების შედეგების გათვლა გაუჭირდა.

მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობა ციხეში შესვლამდე და შესვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. „ნაციონალურ მოძრაობაში" შფოთავენ, რომ მათი ლიდერი მძიმე მდგომარეობაშია და ციხიდან დაუყოვნებლივ გაყვანას ითხოვს. ამბობს, რომ ის არც მერაბიშვილია და არც ახალაია, და ციხეში დიდხანს დარჩენას ვერ შეეგუება. სააკაშვილის ეს მდგომარეობა გუნდში მძიმედ მიიღეს, თუმცა არც იციან, რა უნდა მოიმოქმედონ.

რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლის ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიებს. ვერსია, რომ მიხეილ სააკაშვილი შეგნებულად ჩაჯდა ციხეში და ეს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, აბსურდულად მიმაჩნია. მით უმეტეს, ეს რომ ნდომოდა, მაშინ არა ქურდულად და კანონის დარღვევით, არამედ ვაჟკაცურად (რამდენად არარელევანტურადაც უნდა ჟღერდეს სააკაშვილთან მიმართებით) შემოვიდოდა და ჩაჯდებოდა ციხეში. ამგვარი ნაბიჯით ის გაამძაფრებდა მისსავე გზავნილს საქმეების შეკერვისა და პოლიტპატიმრობის შესახებ. ახლა კი, როდესაც ის საქართველოში ახალი დანაშაულის ჩადენის გზით შემოვიდა, მან ამ გზავნილს ფორმალური საფუძველიც კი გამოაცალა.

ალოგიკური გადაწყვეტილების ნარკოტიკებზე გადაბრალებაც აბსურდი მგონია. როგორი ნარკოდამოკიდებულიც უნდა იყოს ადამიანი, მას ყოველთვის აქვს საკმარისი დრო, რომ ალოგიკურ ნაბიჯზე აიღოს ხელი.

შესაბამისად, ყველაზე ლოგიკურად მაინც ის ვერსია შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სააკაშვილი საქართველოში არა ციხეში შესვლის გათვლით, არამედ ხელისუფლების გადატრიალების მყარი იმედით ჩამოვიდა. აქვე საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ სააკაშვილის რევოლუციური განზრახვა ყველა შემთხვევაში წარუმატებლობისთვის იყო განწირული. მისივე გეგმის მიხედვით, 3 ოქტომბერს მოულოდნელადაც რომ გამოჩენილიყო რუსთაველზე, პოლიცია წყლის ჭავლის ან მაქსიმუმ, მხუთავი აირის გამოყენებით დაშლიდა მათ მაქსიმუმ 5000-კაციან შეკრებას და სააკაშვილს უმარტივესად დააკავებდა. სააკაშვილს შეიძლება აღარ ახსოვდა, რომ გიორგი გახარია პრემიერი აღარაა და დღეს სახელისუფლო გუნდი ერთიანია, როგორც არასდროს".

სწორად შენიშნავს პრემიერ-მინისტრი და საზოგადოების დიდი ნაწილი ასევე ფიქრობს, რომ სააკაშვილის ე.წ. გეგმა იყო ასეთი: მას 3 ოქტომბრამდე უნდა გაეძლო ქვიშხეთის ქუჩაზე მდებარე სოროში და როდესაც რუსთაველის გამზირი გადაივსებოდა, მინიმუმ, 100 ათასი კაცით, რეგიონებიდან დაიძვრებოდა კოლონები, სანზონაში მიუყვანდნენ თეთრ ცხენს და მას შემდეგ, რაც ნიკანორ მელია თავის „ღრმააზროვან" მიმართვას დაასრულებდა, სცენაზე ეგრევე „შემოგელვდებოდა" მიხეილ სააკაშვილი. რა თქმა უნდა, ის იქნებოდა ზოროს ფორმაში, სახეზე ექნებოდა ნიღაბი, ეცმებოდა შავი ვესტერნული ტანისამოსი, მაღალქუსლიანი ჩექმები და ხელში ეჭირებოდა შოლტი ან მათრახი, რომლითაც ჰაერში მოხაზავდა: **MOIDA MIHA!**

რა თქმა უნდა, ამის დანახვაზე „ნაცები" არნახულად აღტყინდებოდნენ, თავიანთებურ ორგაზმსაც განიცდიდნენ და ეგრევე გადავიდოდნენ რევოლუციურ „ქმედებებზე", დაიწყებდნენ „შევარდნებს" პარლამენტის შენობაში, მთავრობის სახლში, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, პრეზიდენტის აპარტამენტში (თმებით ითრევდნენ სალომე ზურაბიშვილს), ავიდოდნენ სოლოლაკში, დაიპყრობდნენ ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრს, გამოიტანდნენ მილიონობით დოლარს, ნაწილს გაიყოფდნენ იქვე, ნაწილს კი გაჰფანტავდნენ ჰაერში ქვრივ-ობლებისთვის და რაც მთავარია, მიხეილ სააკაშვილს გამოაცხადებდნენ ქვეყნის მმართველად, მამად და მარჩენლად. აქ აღარაფერს ვამბობ ჩვენზე, ანუ მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე, რომელიც „ქართულ ოცნებას" უჭერს მხარს და მკვლელებს, ყაჩაღებს, კრიმინალებს არ უჭერს მხარს... რასაკვირველია, ჩვენ ეგრევე ჩაგვცხრილავდნენ, სადაც კი დაგვიჭერდნენ, ვინც გადავრჩებოდით, ციხეებში ამოგვხდიდნენ სულებს. დარწმუნებული ვარ, ციხეების უფროსად გივია თარგამაძეს დანიშნავდნენ, სულების მთავარ ამომხდელს, შინაგან საქმეთა მინისტრად ისევ მოგვევლინებოდა ვანო (ბლუ) მერაბიშვილი და მოითხოვდა არა ორ გვამს, არამედ უფრო მეტს – ათს, ოცს, ასს... მა როგორ გინდათ? ცხოვრება წინ წავიდა, ყველაფერი გაძვირდა, ორი გვამი ეხლა უკვე ცოტაა!

ეჭვი არ შეგეპაროთ, ზუსტად ასე იქნებოდა... უფრო დაწვრილებითაც შემიძლია მოგიყვეთ, რა როგორ და რანაირად იქნებოდა, მაგრამ ასეთი თხრობა ძალიან შორს წაგვიყვანს. სააკაშვილს მართლა ეგონა (გია ბარამიძისნაირი და თაკო ჩარკვიანის მსგავსი კრეტინები არწმუნებდნენ), რომ საქართველოში აღარც პოლიცია არსებობდა, აღარც პროკურატურა, აღარც უშიშროება, აღარც „ინსტიტუციები" (ეს თაკოს ტერმინოლოგიაა), ბიძინა ივანიშვილს ბარგი უკვე ჩალაგებული აქვს, ცალი ფეხი თვითმფრინავის ტრაპზე უდგასო, სარდაფში 800 მილიონი დოლარი რომ აქვს, მაგას ტოვებს, გატანას ვეღარ ახერხებსო. დიახ, მიხეილ სააკაშვილს ეგონა, თუ მას შეეხებოდნენ, მთელი საქართველო გარეთ გამოვიდოდა. ასე არ მოხდა... ერთი რამ, რაც აშკარად თვალსასაცემია, გახლავთ ის, რომ ქართველმა ხალხმა საკუთარ მწარე გამოცდილებაზე რაღაცა მაინც ისწავლა – ანუ, დღეს საკითხი დგას ასე: რევოლუციებისა და გადატრიალ-გადმოტრიალებების დრო დასრულდა, ამ თემაზე ირაკლი ღარიბაშვილი წერს:

ყველას კარგად გვახსოვს, რომ საქართველო იყო პირველი მერცხალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში. იყო დიდი ენთუზიაზმი, მაგრამ არ გვეყო გამოცდილება და დამოუკიდებლობის მიღებიდან მალევე, პირველი პრეზიდენტი მოვკალით. ამის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა უკვე ასაკში შესული შევარდნაძე, რომლის პრეზიდენტობის დროსაც, მათ შორის „მხედრიონის" აღვირახსნილობისა და ზღვარ-



გადასული კორუფციის გამო, სახელმწიფო სრულიად დაკნინებული იყო. ამ ფონზე, 2003 წელს იმუნიტეტდაქვეითებულ ქვეყანაში სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ძალაუფლება ხელისუფლების გადატრიალების გზით, ქვების სროლით იოლად მოიპოვეს. სახელმწიფო და ინსტიტუტები იმდენად იყო დაკნინებული, რომ შევარდნაძე უკვე პირადი უსაფრთხოების სამსახურსაც კი ველარ აკონტროლებდა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ 9 წლის განმავლობაში ქვეყანას ყველანაირი უბედურება დააწია. ისინი ყველაფრის უფლებას აძლევდნენ თავს, ჩაიდინეს უამრავი დანაშაული, მათ შორის – მიიტაცეს თითქმის ყველა მედიასაშუალება, რაც მათ ყველა წარუმატებლობის წარმატებად წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევდა. სააკაშვილი საკუთარ თავს უმღერდა „მიშა მაგარია“-ს და თავისი სიცრუე თავადვე დაიჯერა. სინამდვილეში კი, „ნაციონალური მოძრაობა“ არის კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ხელმოცარული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც არაფრის სწორად დაგეგმვა და მართვა არ შეუძლია. სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. სააკაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა და ხელისუფლების გადატრიალება ზუსტად ისეთივე „წარმატებით“ დაგეგმა, როგორი „წარმატებითაც“ თავის დროზე ქვეყანას მართავდა.

მათ ვერც ის გაითვალისწინეს, რომ 2003 წლის დაკნინებული სახელმწიფო ინსტიტუტების ნაცვლად, დღეს მათ კარგად ორგანიზებული სახელმწიფო ინსტიტუტები დახვდათ. ეგონათ, რომ მარტივად შეძლებდნენ გეგმის განხორციელებას. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისინი თავისივე სიცრუის მსხვერპლი გახდნენ. უკვე წლებია, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი პროპაგანდისტული პარტიული ტელევიზიები ცდილობენ დაამკვიდრონ ყალბი აღქმა „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ შესახებ და ეს ტყუილი, აშკარაა, რომ თავადვე დაიჯერეს. სინამდვილეში, „ჩამოშლილი სახელმწიფოს“ ნაცვლად, სააკაშვილს საქართველოში კარგად ორგანიზებული სახელმწიფო სისტემა დახვდა. სწორედ ამ ყველაფრით აიხსნება სააკაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის რადიკალური ცვლილებაც ციხეში შესვლამდე და ციხეში შესვლის შემდეგ – გაღიმებული შევიდა ციხეში და ახლა არაფერი ადარდებს, გარდა იმისა, რომ როგორმე ციხიდან გამოვიდეს“.

ვეთანხმები ირაკლი ღარიბაშვილს, „ნაციონალებმა„ და მათმა ბელადმა თვითონ შეიქმნეს რაღაც ილუზიონისტური სამყარო, ირეალური ყოფა და და თავადვე დაიჯერეს, რომ ძალიან მაგრები არიან, რომ მათი დამმარცხებელი არავინ არსებობს დედამიწის ზურგზე, მხოლოდ მათ უნდა მართონ ქვეყანა. სინამდვილეში ისინი არაფერს წარმოადგენენ, უბრალოდ ნეხვში კოტრიალობენ და ერთმანეთს ატყუებენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლი ღარიბაშვილის წერილმა სრულიად „სანაცეთი“ აღაშფოთა. ისე აღაშფოთა, შეურაცხადები ხომ იყვნენ, დასაბმელები გახდნენ. პრინციპში, დასაბმელები აქამდეც იყვნენ.

„ნაცებო“ და მათთან გათანაბრებულო პირებო, ირაკლი ღარიბაშვილს ოდითგან ვერ იტანთ, რადგან ყველას მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში (მოგეხსენებათ) მოგეთხოვათ პასუხი: ბაჩო ახალაია, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ციხის ჯალათები! – ეს იყო ღარიბაშვილის პირველი პრემიერობისას.

მეგის ქარდავას „ჩამობრძანება“, მიხეილ სააკაშვილის გამოკეტვა! – ეს არის ღარიბაშვილის მეორე პრემიერობისას.

ჯერ სად ხართ? ვისაც დანაშაული გაქვთ ჩადენილი, ვისაც სისხლი გაქვთ დაღვრილი, ვისაც კანონთან ანგარიში გაქვთ გასასწორებელი, ყველა წარსდგებით მართლმსაჯულების წინაშე. ძალიან ბევრნი ხართ საპყრობილეში გასაქანებლები!

გავიგე, უფრო იმას აღუშფოთებიხართ, პრემიერმა რომ დაწერა, შეიძლება სააკაშვილი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყოო. „უმიწაწყლოს“ ციხიდან დაუბარებია, მე აქ გავიკეთებ ნარკოტესტს, შენ კიდევ მთავრობის კანცელარიაში გაიკეთეო. სააკაშვილი სუფთააო, კაცი ველოსიპედით დადიოდაო, ველოსიპედითო! – არაკუნებს მისი ე.წ. ადვოკატი.

როგორც ხედავთ, მეგობრებო, ესენი მწვერვალებს იპყრობენ კრეტინიზმის მიმართულებით, ყველა რეკორდი დაამხეს უკვე!

ჯერ ერთი, კოკაინში ჩამხრჩვალ სააკაშვილს რატომ უნდა „გაეჯიბროს“ პრემიერ-მინისტრი, თავი რატომ უნდა გაუყადროს? მეორეც – რატომ იუკადრისეს, სააკაშვილი რომ წამალზე შემჯდარი სახედარია, პირველად გაიგეს?!

„ნაცებო“, თქვე ვირიშვილებო, დამშვიდდით, ნუ ნერვიულობთ, ემანდ ჭყლეტვაში არ მოჰყვეთ, უბრალოდ თქვენს რიგს დაელოდეთ, ფსიქოლოგიურად მოემზადეთ, ვისაც უხეირო რამეები გაქვთ ჩადენილი, შეგიძლიათ, ჩვენებების მიცემაში ივარჯიშოთ!

ირაკლი ღარიბაშვილი გისრულებთ, რაც დაიმსახურეთ და დაიწყო ის პროცესი, რასაც ქართველი ხალხი აქამდე ითხოვდა, სამართლიანობის აღდგენა! ამიტომაც ხართ სხვა განზომილებაში, ანუ ჭაობში!

ღია და ფარული „ნაციონალების“ გაცოფება გასაგებია, თუ წინა პრემიერების – კვირიკაშვილის, ბახტაძის, გახარიას პერიოდში ისინი, ასე თუ ისე, მშვიდად იყვნენ, ახლა აეწვათ. ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ მოსვლას არ ელოდნენ, ბნედა დაეცათ. მეტი რომ ვერაფერი მოახერხეს (უამრავი შეურაცხყოფის გარდა), ისევ დაიწყეს ჭორების გავრცელება, ღარიბაშვილის გადაყენება გადაწყვეტილია, თურმე ბიძინა ივანიშვილს „სეერთაშორისო“ საზოგადოებამ კატეგორიულად მოსთხოვა და ამასაც სხვა გზა აღარ აქვსო. აქვე დასძენენ, წერილი, რომელიც ღარიბაშვილმა გამოაქვეყნა, ბიძინა ივანიშვილის კარნახით არის დაწერილიო. ესე იგი, პრემიერ-მინისტრი თან წერილებს წერს ივანიშვილის კარნახით, თან გადადგომას აპირებს იმავე ივანიშვილის კარნახით. „ჭუტლექსვიზიის“ („ტვ პირველი“) მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ღარიბაშვილი მეორე ტურის ჩამთავრებისთანავე გადადგება და შემდეგი პრემიერი ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე გახდება. გია ვოლსკი ამბობს, ირაკლის რომც უნდოდეს, მაინც არ გავუშვებთო.

ხატია დეკანოიძის აზრით, ღარიბაშვილის წერილი იმდენად არაადამიანური და დესპოტურია, პუტინის გამორჩეულ პროპაგანდისტებსაც კი შეშურდებოდათო. ამას ამბობს მიხეილ სააკაშვილის ნარძლევი, რომელმაც მშვენივრად იცის, რამდენი ადამიანი ამოდეს მიწის ქვეშ. ესენი ლაპარაკობენ სხვის არაადამიანობასა და დესპოტიზმზე.

ბოკუჩავები, ბარამიძეები, ჩარკვიანები, ხაბაზები და მათი მსგავსები კატეგორიულად (პრინციპულად) ითხოვენ სააკაშვილის გათავისუფლებას, ბიჭი ცარიელ წყალზეა, გაუჭირდებაო. თანაც ეგ შემთხვევითი ვინმე არ გეგონოთ, თანამედროვე აღმაშენებელიაო.

როგორ გითხრათ... მე მაქვს იდეა სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. მიხეილ სააკაშვილს (ქართველი ხალხის სახელით) ვპირდები, ციხიდან გავუშვებთ, თუ შეასრულებს რამდენიმე დავალებას:

უნდა გააცოცხლოს სანდრო გირგვლიანი! ასევე, ირინა ენუქიძე!

უნდა გააცოცხლოს ბუტა რობაქიძე და ქუჩაში ჩაცხრილული 150 ახალგაზრდა!

უნდა გააცოცხლოს სერგო თეთრაძე!

უნდა გააცოცხლოს როინ შავაძე!

უნდა გააცოცხლოს გია კრიალაშვილი!

უნდა გააცოცხლოს გურამ შარაძე!

უნდა გააცოცხლოს ვაზაგაშვილები!

უნდა გააცოცხლოს სულხან მოლაშვილი!

უნდა გააცოცხლოს კობა დავითაშვილი!

უნდა გააცოცხლოს ის ადამიანები, 2011 წლის 26 მაისის ღამეს მაღაზიის თავზე რომ შემოდო!

უნდა აღიაროს, კიდევ რამდენი ადამიანი ჰყავს მოკლული, ჩვენ რომ არ ვიცით, და ისინიც გააცოცხლოს!

შემდეგი დავალება: მიხეილ „საკანაშვილმა“ ყველას უნდა დაუბრუნოს წართმეული ქონება!

ასევე... მისცეს კომპენსაცია ყველა გაუპატიურებულს!

მისცეს კომპენსაცია 350 ათას პრობაციონერს. ალბათ ყველა უდანაშაულო არ იყო, მაგრამ ბევრი იყო!

მისცეს კომპენსაცია ციხეებში დახოცილთა ოჯახებს!

დამატებითი დავალება:

ბატონმა „საკანაშვილმა“ სასწრაფო წესით დააბრუნოს კოდორის ხეობა!

ახალგორის რაიონი, 200-მდე სოფელი, ქვების გროვა რომ უწოდა!

გააცოცხლოს ცხინვალის ქუჩებში ჩახოცილი უწვერულვაშო ბიჭები, უპატრონოდ რომ დაყარა და კუდამოძუებული გამოიქცა!

კომპენსაცია გადაუხადოს იმ სამხედროებს, ამ ავანტიურის დროს მოღალატეებად რომ შერაცხა და ციხეებში ათრია!

კომპენსაცია მისცეს ფოტოჟურნალისტებს, ჯაშუშობა რომ დააბრალა და ციხეში ფსიქოლოგიურად აწამა!

კომპენსაცია მისცეს იმ მფრინავებს, აგვისტოს ომის შემდეგ რომ დაიჭირა და ციხეები ახეხინა!

დაჯდეს და... კიდევ ერთხელ ნორმალურად, დანა-ჩანგლით ჭამოს ჰალსტუხი, რათა მსოფლიომ აღიაროს ჩვენი ცივილურობა!

(ამ შემთხვევაში კი ვიყენებ იუმორისტულ ელემენტს, მაგრამ არ ვხუმრობ!)

რომელი ერთი ჩამოვთვალო? დავიღალე!

თქვენც შეგიძლიათ, მისცეთ დავალებები. კი, ბატონო, შეასრულოს და გზა ხსნილია, „პაჟალუსტა“!!!















# ახლა, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენების დრო არ არის. ერი უნდა გაერთიანდეს და 30 ოქტომბერს მტარვალებისგან ქვეყნის გადარჩენას უნდა მისცეს ხმა

*გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:*

**— ბატონო მერაბ, არჩევნების პირველ ტურში „ქართულმა ოცნებამ“ 47% მიიღო. რაზე მეტყველებს შედეგები?**

— მადლობა ღმერთს, მმართველმა პარტიამ 43%-იანი ბარიერი უპრობლემოდ გადალახა. ასეც იყო მოსალოდნელი. ოპოზიციური პარტიები ჯიუტად გაიძახიან: კოალიციური მთავრობა უნდა შევქმნათ, დემოკრატიისკენ გადავდგათ ნაბიჯი, ორპოლუსიანობა დასრულდება, რადგან ეს დაპირისპირებას იწვევსო. ეს ფუჭი საუბრებია. ზოგადად, ორპოლუსიანობა მთელს მსოფლიოშია. ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა. იქ, „რესპუბლიკელების“ და „დემოკრატების“ ლიდერები, მუდმივად, ერთმანეთს ებრძვიან. აქაც, ანალოგიური ხდება. რატომ იტყუებს ოპოზიცია კოალიციური მთავრობის შექმნაზე ილუზიით თავს, ვერ ვხვდები. მელიაც იქადნება: კოალიციურ მთავრობას ჩამოვაყალიბებთო. ნიკანორი ფიქრობს, რომ მერია რევოლუციის, გადატრიალების ბუდე იქნება. დიახ, მას დესტაბილიზაცია სურს და არა ქალაქის მმართველობაზე ზრუნვა. რაც შეეხება არჩევნების შედეგს, უცხოელმა დამკვირვებლებმაც აღიარეს, რომ შედგა. ერთი რამ კი ძალიან მიკვირს: როგორ აძლევს ნაცებს ხმას საზოგადოების ამხელა პროცენტი. გონიერი ერისგან ეს მართლაც გამაოგნებელია, თუმცა, მათი ბრალი არ არის. საფრთხობელად ქცეულ ნაცებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დასაწყისში 17% ჰქონდათ, ახლა კი, 31% აქვთ. რისი, რა ტენდენციების ბრალია ყოველივე? აქ, ალბათ, უნდა ვახსენოთ ყბადაღებული კოაბიტაცა, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ხელისუფლების მხრიდან, ლიბერალური, შემბრალებლური პოლიტიკის გატარება. განა, შეიძლება კუზიანი სამარის გარდა, რამემ გაასწოროს. განა, შეიძლება „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, როცა უამრავი საშინელება ჩაიდინა ერისა და ქვეყნის წინაშე.

**— წინ მეორე ტურია. როგორ ფიქრობთ, არ დადგა დრო „ქართულმა ოცნებამ“ მხარდამჭერებს მოუხმოს და ხელახალი გამარჯვება მოიპოვოს?**

— „ქართული ოცნების“ მამამთავრებმა განაცხადეს: ჩვენი ხმები გახარიამ წაიღოო. კიდევ კარგი ასე რომ მოხდა, თორემ, გარწმუნებთ: ეს ხმები ან ყუთამდე არ მივიდოდა, ან სხვები წაიღებდნენ. ამის მწარე გამოცდილება, უკვე, გვქონდა. 2018 წელს, პრეზიდენტის არჩევნების დროს შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „თორმეტიანელები ღირსეული საქართველოსთვის“. მეორე ტურში, გამარჯვების მოსაპოვებლად, 44 რაიონში ორი ათასი აქტივისტი ჩაერთო. ფაქტობრივად, მეორე ფრონტი გავხსენით. მათ, 2012 წლის ამომრჩეველი, კვლავ, „ქართული ოცნებისკენ“ შემოატრიალეს. ამით შემდეგი რამის თქმა მინდა: გახარიასთან წასული ხალხი, 2012 წელს გააქტიურებული ამომრჩეველი გახლავთ, რომელიც 2018 წელს მოვიხმეთ და შედეგმაც გაამართლა. ბიძინა ივანიშვილმა „თორმეტიანელებს“ გვთხოვა გვერდში დავდგომოდით. ამ ხალხს პოლიტიკური ვერტიკალი სჭირდებოდა, სადაც გააქტიურდებოდა და აღნიშნული 10% გახარიასთან გააქტიურდა.

პოლიტიკა კარნახით არ კეთდება, ეს ცოცხალი ორგანიზმია. სხვათა შორის, ცხადი იყო, რომ „ქართული ოცნებიდან“ ვიღაც გამოეყოფოდა და პარტიას შექმნიდა. ნაცები რევოლუციური სცენარის უკუგდებას ვერ გაექცევიან. თუ მაინც არ დაიშლიან თავისას, საერთოდ, დასამარდებიან. ჩვენ, 2024 წლის არჩევნებისთვის უნდა მოვემზადოთ. კოალიციური მთავრობა ბლეფია და მეტი არაფერი იმიტომ, რომ ნაცები და ქოცები ერთ მინდორზე ბალახს ვერ მოძოვენ. დაპირისპირებები გრძელდება, ქვეყანამ სიმშვიდე ვერ მოიპოვა.

**— თქვენი დაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობა, ამჟერად, თუ აპირებს საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ტურში დადებული შედეგის გამეორებას?**

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ 2012 წლის მონაპოვარი არ დაიკარგოს. 2024 წელს პროპორციული არჩევნებია. თუ მმართველი ძალა ფიქრობს, რომ გახარიას დისკრედიტაციით ამ 10%-ს უკან დაიბრუნებს, ცდება. 2012 წლის შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლის გარკვეული პროცენტი დაკარგა. ვგულისხმობ, მოუხმობლებს. ბევრ ადამიანს ვიცნობ, ვინც აცახდებს: არჩევნებზე არ წავალო. ხალხს, უკვე, მობეზრდა. ნიჰილისტურად ის ადამიანები საუბრობენ, ვინც „ქართული ოცნებისთვის“ 2012 წელს თავს სწირავდა. ამ ხალხს, ახლა, ისევ რომ მოუხმო, რა უნდა უთხრა? ისინი ერთადერთ შემთხვევაში წამოვლენ — თუკი გარკვეული პოლიტიკური ნიშა ექნებათ.

„ქართული ოცნება“ მხარდამჭერებს უმადურად მოექცა. მხარდამჭერების დიდი არმია მმართველმა ძალამ გვერდზე გაწია. სწორედ ეს ძალა აკლია, ახლა, „ქართულ ოცნებას“. ხერხემალს ნეკნს რომ გამოაცლი, წელში გამართული, ძლიერი ვერ იქნები. აი, ეს ნეკნი აკლია ქართულ ოცნებას, რომელმაც მას წონასწორობა უნდა შეანარჩუნებინოს. როგორც ვიცით, ნაცების ერთადერთი მიზანი ხელისუფლებაში რევოლუციური, რევანშისტული გზით მოსვლაა. ნაცები ქვას ქვაზე არ დატოვებენ, რათა ხელისუფლება ამოაყირავონ. „ქართულ ოცნებას“ იმის კი არ უნდა ეშინოდეს: ხელისუფლება არ დავკარგოთო, არამედ შემდეგის: დარწმუნებული ვარ, ასი ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვა და შეიძლება, „ქართულ ოცნებასაც“ ცუდად შემოუტრიალდეს.

ჩემზე ვერავინ იტყვის: „ქართული ოცნებიდან“ რაიმე სარგებელი მიიღოო. ჩემი პოზიცია უცვლელია, მაგრამ ყველას ვერ უკარნახებ ამის გაკეთებას. თუნდაც, იმიტომ, რომ ნაბრძოლ სუფრას სხვები შემოუსხდნენ. დასაწყისში ხომ გითხარით: „ქართულ ოცნებას“ მივეცი ხმათქო, მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ იგი საკუთარ თანამებრძოლებთან სწორად არ იქცევა. მმართველ ძალას არ ესმის, რომ მოუხმობლები მისთვის უდიდესი ძალაა. ქვეყანას ისე უნდა მართავდე, როგორც სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს. ომს ვინც აგებს, უნდა გასამართლდეს. მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა არცერთი პრეცედენტი იმისა, რომ ომის წამგები ხელისუფლება არ გასამართლებულიყო. ნაპოლეონი, ვატერლოოს ომის შემდეგ, გადაასახლეს, ჰიტლერმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. დიახ, მან ომი წააგო და თავი იმიტომ მოიკლა. სააკაშვილმა კი, წაგებულ ომზე „გამარჯვება“ იზეიმა. სრულ სიგიჟესთან გვაქვს საქმე. შემდეგ, მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც სამართლიანობა უნდა აღედგინა, მაგრამ სამწუხაროდ, ომში ასობით ჩახოცილი ახალგაზრდის გამო, არავინ დასჯილა. მერე რა, რომ ჩვენი ბიჭები რუსებმა მოკლეს. რუსი დამნაშავეა, მაგრამ ქვეყანამ სააკაშვილს პასუხი რატომ არ აგებინა.



**— ალბათ, დაუსჯელობის შედეგია ის, რომ დღეს გვეუბნებიან: სააკაშვილი უკანონო პატიმარია და ციხეში არაადამიანურად ეპყრობიანო.**

— სააკაშვილი ისეთ ციხეში უნდა ჩასვა, როგორიც თავად შექმნა და მერე ვნახოთ, რას იტყვის არაადამიანურ მოპყრობაზე! მის ციხეში მორიგეობით ეძინათ. ათ-საწოლიან საკანში 40 პატიმარი იყო და ძილი ფეხზე მდგომებს უწევდათ. თუმცა, ამასთან ის წამებები რა მოსატანია, რასაც მისი ჯალათები ახორციელებდნენ. ციხის ბუნტი გაითამაშეს და ხალხი დახოცეს. პატიმრები სად გაიქცეოდნენ? საკანში რა უფლებით მოკლეს ადამიანები? სააკაშვილი პოლიტ. პატიმარიაო რომ იძახიან, ეს არის უბედურება. პოლიტ.პატიმრობის აღიარება საქართველოში არსებული რომელიმე ძალის მიერ როდი ხდება. ეს ხდება საერთაშორისო — იუნესკოს დონეზე. აბა, ვიმსჯელოთ: სადაური პოლიტ.პატიმარია სააკაშვილი — ადამიანი, რომელიც მოურიდებლად აცხადებდა: აფრასიძეების ოჯახის განადგურების ბრძანება მე გავეციო?! ეს ხომ ფაქტია. რატომ არ არის ამისთვის გასამართლებული?! თუ მათზე საწინააღმდეგოს იტყვი, მაშინვე პრო-რუსის იარლიყს მოგაწებებენ. თვითონ, ვითომ, პრო-ევროპელები არიან და ამ დროს, შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელი არ მოაწერეს. აფრასიძეები, პირდაპირ, ვერტმფრენიდან დახოცეს. მე, ახლა, რამდენიმე ფაქტი გავიხსენე, თუმცა, სააკაშვილის დანაშაულობების სია ძალიან გრძელია. ამ დროს, მას, მხოლოდ, 6 წელი აქვს მისჯილი, ხოლო მათ ვინც სააკაშვილი შეიფარა — 4 წლიანი პატიმრობა ელით. ეს ხომ სასაცილოა. როცა ასეთ პარადოქსულ ვითარებაში გიწევს ცხოვრება, გასაკვირი აღარაფერია. ამომრჩეველიც დაბნეულია. სააკაშვილი პოლიტ. პატიმარი კი არა, არამედ სისტემური დანაშაულის ბელადია. იგი გახლავთ კრიმინალური ხელისუფლების მამამთავარი და სულისჩამდგმელი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს.

სისხლში აქვს ხელები გასვრილი და გვეუბნებიან: პოლიტ. პატიმარია, თავისუფლება მიშასო. ქართველმა ხალხმა ეს თუ დათმო, ქვეყანა დაგვეღუპება. ახლა, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენების დრო არ არის. ერი უნდა გაერთიანდეს და 30 ოქტომბერს მტარვალებისგან ქვეყნის გადარჩენას უნდა მისცეს ხმა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სანამ „ქართული ოცნების“ სახით, ბიძინა ივანიშვილის იდეა იცოცხლებს, მანამ ამ პარტიის მხარდამჭერი ვიქნები

*გვესაუბრება ყოფილი პოლიტპატიმარი ლუკა კურტანიძე:*

**— ლუკა, გამარჯვება ჯერ კიდევ მოსაპოვებელია. რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რათა ქართველი ამომრჩეველი, 2012 წლის მსგავსად, კვლავ სახელმწიფო, ეროვნულ პოზიციაზე დადგეს?**

— მთავარი რამ უნდა გითხრათ: „ქართული ოცნება“, პირველ რიგში, არის იდეა და არა პარტია. დიახ, ეს გახლავთ დალოცვილის იდეა, რაც თავის თავში გამთლიანებულ, ძლიერ, ევროპულ საქართველოს მოიცავს. ეს, შემდგომ, პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიის სახით ჩამოყალიბდა. ბიძინა ივანიშვილისთვის, მისი თანამებრძოლებისთვის სწორედ ეს იდეა არის მთავარი მამოძრავებელი ძალა. „ქართულმა ოცნებამ“ უამრავი კეთილი საქმე გააკეთა. ამიტომაც, ამომრჩეველი ისევ მის გვერდითაა. მათ შორის, ერთ-ერთი



მეც ვარ. თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

**— 2012 წელს ქართველმა ხალხმა ნაცებს უარი უთხრა. ამ საქმეში, სხვა ერთგულ თანამოაზრესთან ერთად, წვლილი თქვენც შეიტანე თ. მოუხმობელი საზოგადოება, რომელიც მიძინებულია როგორ გამოვაფხიზლოთ?**

— ჩვენ, არსად წავსულვართ, აქტიური მოქალაქეები ვართ და ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობით, კვლავ, იმ იდეას ვახორციელებთ, რაც დალოცვილმა „ქართულ ოცნებას“ საძირკვლად დაუდო. სადაც არ უნდა ვიყოთ, ამ იდეას ყველგან დავიცავთ. ბატონი ბიძინას პოლიტიკის ნაწილი იყო, აქტიურ მოქალაქეებს თავიანთი შესაძლებლობები, მაქსიმალურად, გამოევლინათ. ჩვენ, თავმოყვარე, თავისუფალი ადამიანები ვართ, რომელთა პრინციპი ასეთია — სადაც ეძახიან, იქ, მიდიან. სადაც არ ეძახიან, გაცლას ამჯობინებენ, რადგან თვლიან, რომ ამის აუცილებლობა არ დგას. ბევრიც, თამაშიდან გულისტკივილით გადის და იმ საქმეს აკეთებს, რაც კარგად გამოსდის. მე, გახლდით „სახალხო კრებაში“ და კარგად ვიცი პარტიული მსჯელობების, თავყრილობების არსი. ასეთი რამ, „ქართულ ოცნებაში“ არ მიგრძვნია. „ქართული ოცნება“ უძლიერესი ადამიანის მიერ შექმნილი იდეაა, რის ბოლომდე განხორციელებასაც ხელი ყველამ ერთად უნდა შევუწყოთ. დალოცვილმა იმდენად ძლიერი საძირკველი ჩაყარა, რომ ეს იდეა, უკვე, ცხრა წელია მუშაობს. დიახ, მე, ბიძინა ივანიშვილს დალოცვილს ვუწოდებ იმიტომ, რომ უფლისგან დალოცვილი უნდა იყოს ადამიანი, რათა ქვეყნისთვის ამდენი რამის გაკეთება შეძლოს.

მე, პარტიაში არ ვარ, მაგრამ იმ საქმეს ვაკეთებ, რაც ქართული ოცნების იდეის გაძლიერებას ემსახურება. მინდა, მმართველი ძალის გუნდი წარმატებული იყოს. სანამ „ქართული ოცნების“ სახით, ბიძინა ივანიშვილის იდეა იცოცხლებს, მანამ ამ პარტიის მხარდამჭერი ვიქნები.

**— წინ, მეორე ტურია. ნაცებმა თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს — კოალიციური მთავრობაც შეადგინეს და ვადამდელი არჩევნებიც დანიშნეს.**

— საქართველოში სააკაშვილის დროს სიკვდილი და შიში სუფევდა, დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „ქართული ოცნების“ საქართველოში არავის ეშინია, რომ კერძო საკუთრებას წაართმევენ ან თავისუფალი სიტყვის გამო დასჯიან. აქვე, ერთი რამ მინდა ხაზგასმით ვთქვა: მიშას ადვოკატმა დაიტრაბახა — ღარიბაშვილის ციხე მას ვერაფერით შეაშინებსო. რა თქმა უნდა, ასეა. იქ, მას ბატონო პრეზიდენტოთი მიმართავენ. მისი რეჟიმის დროს პატიმრებს ღირსებას ყრიდნენ და მათ ოჯახებსაც კი ეხებოდნენ. რა თქმა უნდა, განსხვავება დიდია. მისი რეჟიმის ციხის პირობებში სააკაშვილი გაღიმებული კი არ შებრძანდებოდა ციხეში, არამედ ცოცხალ-მკვდარი. დიახ, ღარიბაშვილის ციხე სააკაშვილს ვერ შეაშინებს. იმიტომ, რომ ახლა, თუ ადამიანს თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან, მან იცის: იქ, არ მოკლავენ და ოჯახს საღსალამათი დაუბრუნდება. აგერ, მერაბიშვილი — „ორი გვამი მჭირდებას“ ავტორი, ციხიდან კარგად გასუქებული, ნაკვები გამობრძანდა. სააკაშვილის რეჟიმის დროს, უდანაშაულო ხალხი ციხიდან ცოცხალი ვერ გამოდიოდა. ამიტომ, სწორი არჩევანი უნდა გავაკეთოთ. დავუკვირდეთ: რა გვაქვს საპირწონედ — რადიკალიზმი, რევანშიზმი, დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ და მისი ავადმყოფი პრეზიდენტი მართავდა. დღევანდელ ხელისუფლებას მოვუწოდებ: თავის სიმაღლეზე დადგეს და იმ ადამიანებს, ვინც ცხრაწლიანი რეჟიმის გაცოცხლებას ცდილობენ, დღემდე იმუქრებიან, თავისი ადგილი მიუჩინოს. ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია.

**— ლუკა, ოპოზიცია შეშფოთებულია: მიშას ციხეში არაადამიანურად ეპყრობიან — ტელევიზორი, წიგნები არ შეაქვთო. ხომ არ გავიხსენოთ, როგორ ექცეოდნენ პატიმრებს მისი მმართველობის დროს?**

— ეს სასაცილოა. სააკაშვილის ციხეები ნამდვილი სასაკლაოები იყო, სადაც ღირსებას მთელს ოჯახს ჰყრიდნენ. გასახსენებლად, რეჟიმისგან წამებული მოლაშვილი, თეთრაძე, ასობით გაუპატიურებული ახალგაზრდებიც კმარა. ესენი რომელ უფლებებზე საუბრობენ? დალოცვილის ლმობიერი პოლიტიკა რომ არა, სააკაშვილი, დღეს, ციხეში კი არა, მისი ბუნდღა აღარ იქნებოდა. მან, ენით აღუწერელი სისასტიკეები ჩაიდინა. შევარდნაძის დროის მინისტრები დღეს ქუჩებში თავისუფლად დადიან, მათ არავინ ერჩის. მაგრამ სააკაშვილის მკვლელი მინისტრები, რომლებიც სისასტიკით გამოირჩევიან, ვფიქრობ, ქალაქში მშვიდად ვერ გაივლიან. მათ მიმართ საზოგადოებას დიდი აგრესია აქვს. ესენი, რომელ არაადამიანურ მოპყრობაზე გვესაუბრებიან?! — ტელევიზორი, ინტერნეტი, ჯაკუზი და ბარემ, მასაჟისტი ქალებიც ხომ არ ვაახლოთ! კაცი ამდენ სისასტიკეზეა ეჭვმიტანილი და არაადამიანურ მოპყრობაზე ჩივის? ეჭვმიტანილი კი არა ნამდვილი დამნაშავეა. ეს, ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციაა, რომელმაც მიშას რეჟიმი გამოიარა და მისი სისასტიკე საკუთარ თავზე იწვნია.

**— თქვენ, მის ჩადენილ სისასტიკეებზე საუბრობთ, არადა, ოპოზიცია გვიმტკიცებს: უკანონო პატიმარიაო. ეს იმის შედეგია, თავის დროზე რომ არ გავასამართლეთ?**

— რა თქმა უნდა, ასეა. მე, არ ვარ ადამიანების დასჯის მომხრე, მტერსაც კი ვპატიობ. მაგრამ რეჟიმი, რომელიც მთელს ერს ენით აუწერელი სისასტიკით მოეპყრო, უნდა გასამართლდეს. ნაძირალა მეგის ქარდავას, სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებს ქართული მიწა ფეხქვეშ უნდა ეწვოდეთ. თითოეულ მათგანს ჩვენს მიწაზე ფეხი არ უნდა დაედგმებოდეთ. ძველი ევროპა რომ იყოს, ყველამ კარგად ვიცით მათნაირებს როგორარადაც დასჯიდნენ. გაუმართლათ, რომ იმ ეპოქაში არ ცხოვრობენ. ახლა, სააკაშვილი თავს შეწირულად წარმოადგენს, თურმე, შიმშილობს. ეს ყველაფერი მარაზმში გადადის.

გამოდიან გვარამიები და ხალხს მიშას აცოდებენ. მოლაშვილის, რობაქიძის და მიშას მიერ გაუბედურებულმა სხვა ოჯახებმა რა თქვან?! იმ პატიმრებმა რა თქვან, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი გვამებზე აბამდა. ახალგაზრდა ბიჭი გვამზე მიაბეს და ისე აწამებდნენ. თეთრაძეს წამებით ამოხადეს სული. რომელი ერთი მაგალითი მოვიყვანო — შვილმკვდარი მამები, დედები, რომელთაც „გონივრული ეჭვით“ დღისით, მზისით, პირდაპირ, ხვრეტდნენ. მიშას ლოზუნგი იყო: ყველანი ციხეში, ესროლეთ, მოკალითო! და დღეს მის უფლებებზე ვმსჯელობთ? მის დაცვაზეა თავგამოდებული გარკვეული ჯგუფი, ეს ხომ საშინელებაა.

**— ის, ვინც შეიფარა 4 წელი მიუსაჯეს, სააკაშვილს კი — 6-წლიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული. ეს სასჯელი საკმარისია?**

— 12 წელი გერმანიაში ვცხოვრობდი და აქ, რაც ხდება — საკითხებისადმი ლიბერალური მიდგომა, იქ, ეს, გამორიცხულია. იქ მკაცრი კანონია. ჩვენთან კი, შეიძლება ადამიანმა რაღაც ჩაიდინოს და ეს ყველაფერი შერჩეს! მინდა მჯეროდეს, რომ მიშა თავის სასჯელს მოიხდის. სააკაშვილმა შეკრებითობის პრინციპი შემოიტანა. მოდით, ჩვენც მისი წესებით შევუფარდოთ. ახალგაზრდა ადამიანებს 27-30 წელს უსჯიდნენ. მისივე პრინციპით მოხდეს მიშას დასჯა. ვინც ეს კრიმინალი შეიფარა, მას თუ ოთხ წელს უსჯიან, მაშინ რა თქმა უნდა, თავად დამნაშავე, ასჯერ მეტი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს.

**— შეკრებითობის პრინციპით თუ ვიხელმძღვანელეთ, ვეღარც გამოვა ციხიდან?**

— რა თქმა უნდა, ვეღარ გამოვა, ციხეში ყოფნა მრავალი წელი მოუწევს. გამოდის უკრაინის პრეზიდენტი — ზელენსკი და თავისი მოქალაქის უფლებებზე ლაპარაკობს. მას ვურჩევ: მისი ქვეყნის მოქალაქე თუ არის, მაშინ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნუ ჩარევს. სააკაშვილის განცხადებების მერე, საქართველოში, ყოველთვის, მღელვარებაა და ამას ნუ დაუშვებს. კარგი იქნება, თავისი ქვეყნის მოქალაქეს თუ დააოკებს.

**— რისთვის ემზადებიან სააკაშვილი და ნაცები?**

— მათი ხელწერა არის რადიკალიზაცია, რევოლუციები და ქვეყნის ამ რეჟიმში ყოფნა. ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ქვეყანას სიმშვიდის უფლებას არასდროს მისცემს. ამას კვლევა არ სჭირდება, ყველაფერი ხელის გულზე ჩანს. მიშა ჩამოვიდა, რათა ეს მუხტი გააცოცხლოს. უკრაინაში არაფერი გამოუვიდა და ახლა, აქ, უნდა ძალების მოსინჯვა. ჩვენ, სახელმწიფო ვართ და ამ ტაკიმასხრობას ვერ ავიტანთ.

**— შარშან, ნაცებს არჩევნებში 27% უჭერდა მხარს, ახლა — 31%. რით ახსნით იმ ფაქტს, რომ მოძალადეების პარტიას მხარდამჭერები ემატება?**

— ბევრ ადამიანს ვიცნობ რომელიც ნაცებს იმიტომ მიემხრო, რათა პოლიტიკაში ეპოვნათ ადგილი. თორემ, ცხოვრებისეული მრწამსით, რეჟიმის მომხრენი არ არიან. ამიტომ, ჯანსაღი ოპოზიცია უნდა შეიქმნას. ზოგი ოპოზიციურად არის განწყობილი და გზას ეძებს, საიდან მოხვდეს პოლიტიკაში. ასევე, არიან ადამიანები, რომელთაც დაივიწყეს ის სისასტიკე, რასაც 9 წელი სააკაშვილი სჩადიოდა. სამწუხაროა, მაგრამ ასეთი რეალობა გვაქვს. კარგია, რომ მესამე ძალა იქმნება. პრობლემა ისევ ის არის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ — ისმის კითხვა: თუ ნაცები დამნაშავეები იყვნენ, რატომ არ დასაჯეთ? ე.ი. არ ყოფილან დამნაშავეებიო. ამიტომ, დამნაშავე პარტია უნდა დასჯილიყო, რათა ასეთი პრეცედენტები არ მიგვეღო.



**— 30 ოქტომბერს მეორე ტურია. ოპოზიცია მიშას გათავისუფლებას ითხოვს. რისი გაკეთებაა საჭირო, რათა სამოქალაქო საზოგადოება შეიქმნას და 2012 წლის მონაპოვარი არ დაგვეკარგოს?**

— „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები მობილიზაციას მოვახდენთ, მაგრამ ლიდერებმაც ხელი უნდა შეგვიწყონ. მხარდამჭერებსა და ლიდერებს შორის კომუნიკაცია უნდა შედგეს. ქართველი ერი თავმოყვარეა და როცა არ ეძახიან, ის ფიქრობს, რომ არ სჭირდებათ. მაგრამ ამ ბრძოლაში ამაზე ფიქრის დრო არ არის, ყველანი უნდა გავერთიანდეთ. შვილზე შეიძლება ნაწყენი იყო, მაგრამ განა, მასზე ახლობელი ვინმე გყავს?! დარწმუნებული ვარ, 30 ოქტომბერს ყველა ერთად გამარჯვებას ვიზეიმებთ. ყოველგვარი წყენის, გულდაწყვეტილობის მიუხედავად, გავერთიანდეთ და მხარი დავუჭიროთ იმ იდეას, რასაც ამ ქვეყანაში „ქართული ოცნების“ იდეის განხორციელება ჰქვია. სანამ ეს იდეა არსებობს, მხარი დავუჭიროთ. თუ პარტიაში ამ იდეის დეფიციტი გაჩნდება, პირველი მე ვიქნები, ვინც ხმას აღიმაღლებს. „ქართული ოცნების“ იდეა უნდა განხორციელდეს, პირადი წყენა გადავდოთ და სამშობლოსთვის ერთად ვიბრძოლოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თუ ვინმეს სააკაშვილის სიკვდილი გაუხარდება, ეს, პირველ რიგში, ნაცმოძრაობაა...

## ცოტნე დადიანად გადაკეთებული პატიმარი მიხეილი, მაცაცოს ცრემლების თანხლებით



ტირისო, თავს იკლავსო, აღარც სჭამს, აღარც სვამსო, ღამით კედლებზე დადის, თავის თავს ელაპარაკებაო, ერთი ლეიბი არ ჰყოფნის, სამს ითხოვსო, ტელევიზორიც სამი უნდაო – კეზერას, ჭუტას და თავის არხებს ერთდროულად უნდა უყუროსო, სხვა არხებს დასანახად ვერ იტანს, ეზიზღებაო. აქუზე იძახის, ამას არ ვიცნობ, არ მახსოვსო. ერთი ბალიში ცოტაა, სამი ცალი მჭირდება, რა იცით, რა ხდებაო? სკამებსაც ითხოვს, ათიოდე ჩამიმწკრივეთ, თანამებრძოლები რომ შემოდიან, სად დავსვა, აღარ ვიციო. განცხადება აქვს დაწერილი ყურთბალიშების თაობაზედ, მთვლემარების დროს თავი ხან აქეთ მიგორდება, ხან იქითო. შიმშილობის დროს თურმე ორგანიზმი სუსტდება და ეგეთ რაღაცებს იწვევსო. კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის მომართვიანობამ აღმაფრთოვანა, მაგრამ თხოვნას ვერ შევუსრულებ, სანამ სამშობლოს არ გავანთავისუფლებ, მანამდე უნდა ვიშიმშილოვო!

●

ცნობისათვის: მხცოვანმა კომპოზიტორმა მაცაცო სებისკვერაძემ სააკაშვილისადმი მიმართვა გაავრცელა, ბატონო მიშა, შეწყვიტეთ შიმშილობა, ამას ქართველი ხალხი ვეღარ გადაიტანსო. ქალბატონი მაცაცო მიმართვისას ტიროდა. ნანა კაკაბაძემ ივარაუდა, ამას ბიძინა ივანიშვილი ყოველთვიურად 2 ათას ლარს აძლევდა, ნეტავ ხომ არ შეუწყვიტაო? არა, ისევ იღებს ე.წ. სტიპენდიას! მერე რა, რაკი ივანიშვილი ეხმარება, სიმართლე აღარ უნდა ილაპარაკოსო? – მსაყვედურობენ ზოგიერთნი. დიახ, უნდა ილაპარაკოს, მაგრამ არ მახსოვს, სანდრო გირგვლიანისა და ირინა ენუქიძის ამბავზე ცრემლი ჩამოეგდოს, ან სხვა ნაძირლობებზე ეთქვას – გეყოფა, მიშა, ამას ქართველი ხალხი ვეღარ გადაიტანსო. რა აქვს ამჯერად ქართველ ხალხს გადასატანი? არც არაფერი, დამნაშავე უნდა იჯდეს ციხეში!

ქალბატონო მაცაცო, თქვენ რომ ფაქიზი და სიკეთით აღსავსე ადამიანი იყავით, ვიცოდით, მაგრამ ასეთი პრინციპული და სამართლიანი თუ ბრძანდებოდით, არ ვიცოდითო, – ეფერებიან „ნაცპრაშმანდოვკები“ კომპოზიტორს და იმასაც, სავარაუდოდ, სიამოვნებს. ამ სიკეთით აღსავსე ადამიანს ბაძავს თამარ ჭოხონელიძე, რასაც მიხეილ სააკაშვილი აკათებს, ეს არის გმირული თავგანწირვაო. თამარის აზროვნება მას შემდეგ შეიცვალა, რაც წლობით განშორებულ ქმარს, გავარვარებულ „ნაციონალს“, გია როინიშვილს შეურიგდა. მაგრამ ნეტავ როდის იყო მართალი ქალბატონი ჭოხონელიძე, როინიშვილის შერიგებამდე თუ როინიშვილის შერიგების შემდეგ? როდესაც ადამიანის ხარჯზე ბუქნაობ და ცხოვრებას იწყობ, ვალდებული ხარ, იმ ადამიანს პატივი სცე... თუ ცხოვრება საწინააღმდეგოს გაიძულებს, თუ ქმარი თავის რელსებზე გადასვლას ითხოვს, მაშინ ნება იბოძე, ან საჩუქრები დააბრუნე, ან კიდევ საერთოდ მოკეტე!

●

მიხეილის მიმდევრები მოწადინებულნი არიან, თავიანთი ბელადი გმირად აქციონ, თანამედროვე დავით აღმაშენებლად შერაცხონ. გია ბარამიძე მიმართავს: ძმაო, აღმაშენებელო, ძალიან გვიყვარხარ, მთელი საქართველო შენზე ლოცულობსო. რა აღმაშენებელი, რომელი ნაპოლეონ ბონაპარტი, შე დუნდუკო? დავითი ქვეყანას აფართოებდა, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ჭიმავდა, ამან კიდე ისე დაავიწროვა, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ერთი დაჯდომაღა დატოვა.

ჰა, ჰა, ჰა!

მიშა დავით აღმაშენებელიაო... არადა, ორი კვირის წინ ამტკიცებდა, ჯორჯ ვაშინგტონი გახლავართ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ეგრე მეძახიანო. ისე, რა მაგის პასუხია და გია ბარამიძე შინაგან საქმეთა მინისტრი რომ იყო, მაგ ამბავზე



შიში ახლა ამიტანს ხოლმე, ძაან მაგრად ვართ გადარჩენილები.

გიგი უგულავამ იტირა: მაშ, ერთი სასულიერო პირი არ აღმოჩნდა ამ ქვეყანაზე, მიშასთან რომ შესულიყოო? სად არიან პეტრე ცაავა და მიხეილის სხვა მიმდევარი მღვდელ-მონოზნები? აღარ არიან, ხმასაც აღარ იღებენ, კაცი ჩავარდა, ფეხებზეც აღარ ჰკიდიათ. ან კი რაში სჭირდება სააკაშვილს მღვდელი და დიაკვანი, აღსარება უნდა ჩააბაროს და ცოდვები ჩამოიფერთხოს? სანამ პრეზიდენტი იყო (ნეტავ რათ იყო?), ეკლესიაში უკუღმა შედიოდა, პირჯვარს ვარაუდზე იწერდა, კოკაინნაყნოსარი ნეხვში დაცურავდა.

კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა მიხეილ სააკაშვილი მაინც მოინახულა, ბიბლია და სეფისკვერები დაუტოვა. ახლა ამაზე ატყდა ერთი ამბავი, ნიკა გვარამიამ ქოშები უკუღმა ყარა, მოშიმშილე კაცს მაგიდაზე პური რომ დაუყარეთ, ეს ხომ სადისტობააო?! ფაქტია, ამათთვის ზიარებისათვის განკუთვნილი ლიტურგიული პური უბრალოდ ცომია... არ იციან, რომ ზიარებისას სეფისკვერის ჭამა და ღვინის შესმა ნიშნავს ქრისტეს ხორცთან და სისხლთან სიმბოლურ შერწყმას. დაუკვირდით (ან კი რათ უნდა დაკვირვება?), ურჯუკმა ნიკა გვარამიამ ცოფები ყარა, ეს რა ჰქენით, კაცს პური მიუტანეთო? იმის ნაცვლად, თავის ბელადს მოუწოდოს, ჭამე, დალიე, ჯანმრთელობა შეინარჩუნეო, იქით საპატრიარქოს ამუნათებს, რატომ აიძულებთ, შიმშილობა რომ შეწყვიტოსო. და მერე იტყვიან, რომ ამათ არ უნდათ სააკაშვილის სიკვდილი? უნდათ და მერე როგორ, აწყვეტილი თაკო ჩარკვიანი ჩასიხლიანებული თვალებით აცხადებს, არიქა, რუსეთის უშიშროება საქართველოს უშიშროებას აიძულებს, მიხეილ სააკაშვილი ფიზიკურად გაანადგურონ:

„მე არ გამოვირჩევი ინფორმაციის სროლით ეთერში, მაგრამ მაქვს უმძიმესი ინფორმაცია, აპირებენ მიხეილ სააკაშვილის ჯერ მორალურ გართხმას მიწაზე და შემდეგ ფიზიკურ განადგურებას“.

გესმით? თაკო ჩარკვიანი ინფორმაციის უაზრო სროლით არ გამოირჩევა, თუ ისვრის, ნაღდად ისვრის. მის მიერ მოპოვებული



უმძიმესი ინფორმაციის თანახმად, პუტინი აპირებს, სააკაშვილი ჯერ მორალურად „განართხას“ მიწაზე, შემდეგ კი ფიზიკურად გაანადგუროს. დაუჯერებელი არაფერია, პუტინმა სააკაშვილი მიწაზე ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში „განართხო“.

გია ბარამიძე: „მიხეილ სააკაშვილი პუტინის ხელშია, პუტინის პატიმარია და ნებისმიერ წამს შეიძლება მოკვდეს“!

მეგობრებო, მიუხედავად ასეთი ისტერიკული აღშფოთებისა, არც ერთ ელჩსა და არც ერთ პატივცემულ „მისიას“, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, ყურებშიც არ გავარდა ამათი ე.წ. ინფორმაცია, არავინ ყურადღება არ მიაქცია და იცით, რატომ? ეს ყველაფერი ბლეფია!

თაკო გვაშინებს, არიქა, რუსები მოდიან, საქართველოს ანექსია მიმდინარეობსო, ამას ტანითაც ვგრძნობ და სულითაცო. როგორც ჩანს, იმას ვერ გრძნობს, რომ რუსები აქ არიან, არსად წასულან... არა, ცოტა ხნით თითქოს წავიდნენ, მაგრამ 1993 წელს ისევ შემოვიდნენ, ეს ის დროა, როცა ამათი ბელადი ჩამობრძანდა მოსკოვიდან. მაშინ არ მიმდინარეობდა საქართველოს ანექსია, თაკომ ახლა იგრძნო, ბიძინას დროს. ჰო, რუსები უფრო ღრმად შემოვიდნენ (თბილისიდან 40 კილომეტრში) 2008 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილმა დიდი ავანტიურა მოაწყო. ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ღარიბაშვილს, არც „ქართულ ოცნებას“ ერთი მტკაველი მიწაც კი არ დაუკარგავთ, არ გაუსხვისებიათ, არ გაუყიდიათ. იმათ გაყიდეს, შევარდნაძემ და სააკაშვილმა, ჩააბარეს, მილიარდები გააკეთეს, მტერი ქართველების გვამებზე აცეკვეს!

●

ამ წერილს 8–9 ოქტომბერს ვწერ. მიხეილის ადვოკატი შეშფოთებული აცხადებს, სააკაშვილმა 12 კილო დაიკლოო. როდესაც გაზეთი გამოვა, არ ვიცი, რამდენი კილო ექნება დაკლებული, სავარაუდოდ 20 ან 22, სიმართლე გითხრათ, ფეხებზე მკიდია, რამდენს დაიკლებს და



მოიმატებს, უბრალოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: ამის დედა ვატირე, „ნაციონალი“ რომ ხარ და შენი ბელადი შიმშილობს, შენ რა ნამუსით ხეთქავ სახეთქავს?! აი, გეუბნებით, „ნაციონალების“ უსინდისობა ამ შემთხვევაშიც გამოჩნდა, წესით ახლა ყველა უნდა შიმშილობდეს, მასობრივად და ერთობლივად!

დავუშვათ, ყველამ იშიმშილა, მერეო? – მკითხავთ აუცილებლად. გეტყვით: მერე ჩვენ ვთხოვთ თბილისის მერიას (კახა კალაძე უარს არ გვეტყვის), გამოგვიყოფს ლურჯ ავტობუსებს, ავრეკავთ ამათ მთაწმინდაზე და მერე თვითონ იციან, რაც უნდა გააკეთონ – გამოექანებიან!

**P.S.** სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელი ნიკა ცხვარაშვილი ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილმა თაფლის და ნატურალური წვენის მიღება დაიწყო:

„ორშაბათს დაუმზადდა პირადი ბარათი. მას წვდომა ჰქონდა სხვადასხვა პროდუქტზე, მათ შორის, ნატურალურ წვენებზე, თაფლზე და შეკვეთის დადასტურების შემდგომ, როგორც ვიცი, მან მიიღო უკვე რამდენიმე ქილა თაფლი. ასევე, რამდენიმე ლიტრი ნატურალური წვენი. მას დაწყებული აქვს საკვები პროდუქტების მიღება, მათ შორის თაფლის და ასევე, ნატურალური წვენის, რაც ფაქტობრივად ცხადყოფს იმას, რომ ასე თუ ისე, ორგანიზმი არ დგას გამოფიტვის წინაშე“.

მიხეილ სააკაშვილმა ციხის მაღაზიაში 7 ქილა თაფლი შეიძინაო. რა ამბავია 7 ქილა თაფლი? ვინც მისი ღორმუცელობის ამბავი იცის, არ გაჰკვირვებია. არადა, ყველამ იცის. გამოდის, არავისაც არ გაჰკვირვებია. მიხეილის გამოშტერებული ადვოკატი ამტკიცებს, თაფლი მაძღრობაში არ გადის, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ჩვეულებრივად შიმშილობსო. მოკლედ, „ნაცების“ დავთრების თანახმად, როგორც ბროწეულის ოყნა არ არის მედიცინა, ისე თაფლი არ არის შიმშილის აღმკვეთი პროდუქტი. ამათი ტაქტიკაა, როცა როგორ აწყობთ, ისე ბოდიალობენ, თუ დასჭირდათ, დაამტკიცებენ, მაწონი შავია, „ფეჩი“ გარმონია, კიტრი კიდე დუდუკიო.

მე გეტყვით, რატომ ფიგურირებს თაფლი მიხეილის პატიმრობის საქმეში: სამი კვირის წინ გიორგი სააკაძე იყო! ორი კვირის წინ – ჯორჯ ვაშინგტონი! ერთი კვირის წინ – დავით აღმაშენებელი! ახლა ერთი-ორი კვირა ცოტნე დადიანი იქნება! მერე კიდევ დაიბრალებს „ვინმეობას“, ხან ინდიელთა ტომის ბელადი ვინიტუ ინჩუჩუნა იქნება, ხან კიდევ ჯავარჰალალ ნერუ!

ტიპი ისევ სხვა განზომილებაშია – 6 წელი აქვს მისჯილი, სამ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, მეოთხეზე ედავებიან, საზღვარი უკანონოდ რატომ გადმოკვეთეო და ეს მაინც იძახის, ამათ უნდათ, არჩევნების მეორე ტურის დაწყებამდე არ გამომიშვანო. ესე იგი, გამოდის, მიხეილს იმედი აქვს, სანამ მეორე ტური ჩატარდება, გარეთ უნდა იყოს. რომ გითხრათ, ძაან გულუბრყვილოა და ამიტომ არაკუნებს-მეთქი, მოგატყუებთ. არ არის გულუბრყვილო, პირიქით, მაგარი გოთვერანია, თავისას აწვება, ვითომც არაფერი დაუშავებია, ვითომ მართლა პოლიტპატიმარია. „ნაცებმა“ მორიგი კამპანია წამოიწყეს, მიშა პოლიტპატიმრად უნდა შერაცხონ. თუმცა არ გამოდის, მაგის პოლიტპატიმრობაზე ყველას ეცინება, თვითონაც იკრიჭება... ხომ ნახეთ, ციხეში რომ შეჰყავდათ, როგორ ძალიან ჰგავდა ყველის ვაჭარს.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# საქართველოსთვის წამებული ზვიად გამსახურდიას სახელის გვერდით საქართველოს მწამებელი სააკაშვილის ხსენებაც კი მკრეხელობა და დანაშაულია!



*გვესაუბრება „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ხელმძღვანელი ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ:*

**— ბატონო გრიგოლ, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აპროტესტებს ყოფილი პრეზიდენტის — სააკაშვილის დაკავებას. როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ, არ უნდა დაეკავებინათ?**

— მოგესალმებით და სანამ საუბარს დავიწყებდეთ, მინდა სამძიმარი ვუთხრა მთელ საქართველოს, ჩვენს ბათუმს და დაღუპულთა ახლობლებს, იმ საშინელი ტრაგედიის გამო, რაც 8 ოქტომბერს დატრიალდა.

რაც შეეხება სააკაშვილს. მისი მთავრობის ბევრი წევრი დაპატიმრებული იყო. ზოგმა მოიხადა სასჯელი, ზოგი — იხდის. შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი დაპატიმრებული იყო, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი ძებნილია და რატომ არ უნდა აღსრულებულიყო ყოფილ პრეზიდენტზე მართლმსაჯულება, მით უფრო, რომ ის ბრალდებულია რამდენიმე საქმეში?! შერჩევითი სამართალი არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში.

მიხეილ სააკაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ მას ქართული მართლმსაჯულება დააპატიმრებდა, თუმცა, ჩემი აზრით, შეგულიანებული იყო მისი მომხრეებისგან და ე.წ. ოპოზიციური ტელევიზიებისგან, რომ მას შეეძლებოდა ახალი რევოლუციის მოწყობა, რადგან აქ საქართველოში სწორედ ახლა იყო სიტუაცია მზად ამისთვის — ჩამოშლილი იყო, მათი სიტყვებით, ძალოვანი სტრუქტურები. თუმცა ის სცენარი, რაც ჰქონდათ დაგეგმილი, არ გამოუვიდათ.

**— რა იყო ეს სცენარი, თქვენ იცით?**

— სავარაუდოდ, მას ეგონა, რომ აქ 2003 წლის მსგავსი სიტუაცია იყო, შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდის მსგავსი, როცა ძალოვანი სტრუქტურები დასუსტებული იყო, უშიშროების სამსახური, ფაქტობრივად, განდგომილი შევარდნაძისგან და ბევრი სხვა ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო სააკაშვილის აღზევებას.

ვთვლი, რომ სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი დევნის საქმე გამართულია, თუმცა ძალიან მიკვირს, რომ აცხადებენ, სააკაშვილი გმირიაო და მას ზვიად გამსახურდიას ადარებენ.

ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავშეწირული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სააკაშვილისადმი შედარება დიდი მკრეხელობა და სირცხვილია.

ყველასთვის ცნობილია, შევარდნაძე პირდაპირ მტრობდა ზვიად გამსახურდიას. სააკაშვილი კი სწორედ მაშინ გახდა შევარდნაძის მთავრობის წევრი, როცა გამსახურდიას მმართველობა დამხობილი იყო ედუარდ შევარდნაძის ხელით. პირდაპირ მის გუნდში — „მოქალაქეთა კავშირში“ შევიდნენ სააკაშვილი და მისი მეგობრები იმ საშინელი ტრაგედიის შემდეგ. თუნდაც ამიტომაც შეურაცხმყოფელია ზვიად გამსახურდიას და სააკაშვილს შორის ტოლობის ნიშნის დაწერა. სირცხვილია ეს, როგორც პირველი ეროვნული პრეზიდენტის, ასევე — ქვეყნისადმი.

სააკაშვილი უკრაინის მოქალაქეა.

აღმოჩნდა, რომ მან იმ ქვეყნის საზღვრებიც უკანონოდ დატოვა. თუ კანონიერად დატოვა ქვეყანა, უკრაინის ხელისუფლებას ეს ეცოდინებოდა, ანუ გამოდის, რომ



იქაც დანაშაული ჩაიდინა და თუ აქ აქციების გამართვაც უნდოდა, ეს კიდევ სხვა დანაშაული.

**— თქვენ რამდენი წელიწადია ადვოკატი და უფლებადამცველი ხართ?**

— დაახლოებით 20 წელიწადია ვემსახურები ადამიანის უფლებათა დაცვას.

**— გამოდის, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროსაც იცავდით ადამიანის უფლებებს. ნაციონალები და მათი მომხრეები ამბობენ, რომ ის სისტემური და მძიმე დანაშაულები, რაც ხდებოდა სააკაშვილის მმართველობისას, მოგონილია, არც ციხეებში წამებები ხდებოდა და არც უკანონო დაჭერებიო. არ იყო მაშინ ადამიანების უფლებათა უხეში დარღვევები?**

— არქივებში არსებობს ვიდეომტკიცებულებები და არსებობს სააკაშვილის მიერ გაკეთებული მოწოდებები, იგივე დირექტივები — „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ „არანაირი პირობითი სასჯელი!“ „არავითარი დანდობა წვრილმან დანაშაულზე!“ ამაზე სასაუბროდ საათები არ გვეყოდა. 14 წლის ბავშვს წვრილმანი ქურდობისთვის 8 წელი ჰქონდა მისჯილი. ციხეებიდან დაინვალიდებული გამოჰყავდათ ადამიანები ისე, რომ სასჯელს ვერ ასრულებდნენ.

2010 წლის სტატისტიკით, 210 არასრულწლოვანი იხდიდა სასჯელს მაშინ, როცა დღეს 10 მოზარდია სულ საქართველოს ციხეებში.

ბავშვების მიმართ იყვნენ დაუნდობლები და დიდებს რას უზამდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ?!

2008–11 წლებში საქართველოს უფლებადამცველთა ყველაზე დიდ კორპორაციაში მე გახლდით ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი. ჩვენთან შემოდიოდა დაპატიმრებულ ადვოკატთა საქმეები. მათ შორის ორი ადვოკატის შესახებ დავდეთ დასკვნები და ეს ადვოკატები 2012 წელს, როგორც პოლიტიკური პატიმრები, იმ სტატუსით გათავისუფლდნენ. სააკაშვილის მიერ 160 ადვოკატი იყო დაპატიმრებული და იხდიდა სასჯელს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ეს იყო კოლოსალური ციფრი.



გასული საუკუნის 80-იან წლებში მთელი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სულ 70 ადვოკატი იყო გასამართლებული და შეადარეთ ეს ციფრი საქართველოს მონაცემებს 2003-დან 2011-მდე.

ნაციონალები და მათი მომხრეები ვერაფრით გაამართლებენ ამ ვითარებას, მით უფრო, რომ გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა 0,0001% იყო. კანონი



არ კანონობდა. თუ სააკაშვილი დაურეკავდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილს პერსონალურად, რომელიმე პატიმარზე, მხოლოდ მაშინ გაამართლებდნენ იმ ვიღაცას.

თუ მძიმე დანაშაულები არ აქვთ ჩადენილი, დღეს არასრულწლოვანებს აღარ აპატიმრებენ. კანონი მეტად ლიბერალური და სამართლებრივია.

**— ეს ლიბერალური კანონმდებლობა სააკაშვილზეც გავრცელდება?**

— მე, პირადად, არ გავცნობივარ მის საქმეებს, მაგრამ, არსებობს ინფორმაციები, რომ გიგა ბოკერიას უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში 30 მილიონი არის გაფლანგული და სააკაშვილი რომ არ ყოფილიყო საქმის კურსში, ისე ამხელა თანხები ვერ გაქრებოდა. თუნდაც ეს იქნება საკმარისი სააკაშვილის და მისი მთავრობის მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებისთვის და არა რაღაც „კოსტუმების საქმე“. ამას გარდა, არის სხვა მძიმე ბრალდებები, რომლებიც იურიდიულად თუ დაუმტკიცდა, სასჯელი მრავალწლიანი იქნება.

ქართულ მართლმსაჯულებაზე ზეწოლა არც ქვეყნის შიგნიდან, არც გარედან, არ უნდა მოხდეს.

ქალბატონმა პრეზიდენტმა თქვა, რომ ის არ შეიწყალებს ყოფილ პრეზიდენტს, მაგრამ თუ სააკაშვილს ჩაუტარებენ ფსიქიკურ ექსპერტიზას და დადგინდება, რომ შეურაცხადაია, გადაიყვანენ სპეციალურ დაწესებულებაში, უმკურნალებენ და გაათავისუფლებენ... თუმცა მეეჭვება ეს მოხდეს.

**— უკრაინიდან ქალბატონი ჩამოვიდა, რომელიც სააკაშვილის ცოლად აღიარებს თავს, არადა, ჩვენ ვიცოდით, რომ მიხეილ სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსი იყო.**

— ქალბატონი, რომელიც უკრაინიდან ჩამობრძანდა, ცნობილია, როგორც უკრაინაში ქუჩის რევოლუციებში და არეულობებში აქტიური მონაწილე, აქედან გამომდინარეც, ცხადია, რაც ჰქონდათ ჩაფიქრებული სააკაშვილს და მის თანამოაზრეებს.

**— თქვენ ე.წ. „კოსტუმების საქმე“ახსენეთ ზემოთ. მართლა ასეთი აბსურდული ბრალის გამო აქვს მისჯილი?**

— „კოსტუმების საქმე“ ისე დაიხვიეს ხელზე, სიტყვის მასალად, საკითხი რომ გაემარგინალებინათ, თორემ, სინამდვილეში, მილიონობით ლარზე და დოლარზეა საუბარი.

კაცს ბიუჯეტის ხარჯებით მასაჟისტი ჩამოჰყავდა და 2003 წლის მერე ბიუჯეტიდან, ალბათ, 100 000-ობით დოლარი აქვს გაფლანგული პირადი მიზნებისთვის, ასე რომ, ქვეყნის ბიუჯეტის არასწორ და არამართლზომიერ ხარჯვაზეა საუბარი და არა კოსტუმებზე და შარვლებზე.

ახლა სააკაშვილისდროინდელი კანონები რომ იყოს, შეკრებითობის პრინციპით, მას 20–30 წლით მოუწევდა ყოფნა გისოსებს მიღმა.

მაგათ დროს ქართულ ციხეებში 30 000 პატიმარი იხდიდა სასჯელს, ამჟამად, 10 000-მდე პატიმარი გვყავს. ასე რომ, ნუ ეშინია სააკაშვილს, მას არავინ დასჯის უკანონოდ, ისე, როგორც თვითონ ექცეოდა თავის მოქალაქეებს.

დღევანდელი სასამართლო უფრო თავისუფალია, იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის დროს დანიშნული ბევრი მოსამართლე ისევ არის სასამართლო სტრუქტურებში.

სავარაუდოდ, რაც უნდა ბედის ირონია იყოს, მის მიერ დანიშნული მოსამართლეები გაასამართლებენ სააკაშვილს.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**
593 56 11 18

# ბატონო ჯიმი, პატივმოყვარეობის და უმადურობის სენი შეეყარა თქვენს ძმისშვილს და სანამ დროა, მიხედეთ, უმკურნალეთ!

ალბათ გახსოვთ, წინის წინა ნომერში მე მივმართე გარდაცვლილ ჯანსულ ჩარკვიანს, შენი შვილი უმსგავსოებას სჩადის, ვისაც შენ ებრძოდი, სწორედ იმას (იმათ) გაუგორდა ფეხებში-მეთქი... სააკაშვილს გაუგორდა, კაცო, სააკაშვილს, შენ რომ „მიშტლერს“ ეძახდი-მეთქი! მე არ ვიცი, გარდაცვლილთან წერილის „გაგზავნას“ რა აზრი ჰქონდა, მაგრამ ხალხმა მაინც ხომ გაიგო, რა ფსიქიატრიულ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ჩემი ღრმა რწმენით, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული წერილი წაიკითხა ჯანსულ ჩარკვიანის ძმამ, ჯიმი ჩარკვიანმა და პასუხი „საქართველოს რესპუბლიკას“ მიართვა. წესით ჩვენთან უნდა მოეტანა, მაგრამ არც ეგ არი პრობლემა, ასედაც მშვენივრად შევეხმიანები.



## გამარჯობა, ბატონო ჯიმი!

იცით, მსგავს შეკითხვაზე თქვენი ძმა როგორ მპასუხობდა ხოლმე? არამიშავსრა კი არა... არა მიშასრაო!

გაიგონეთ? მიშას არაო!

იმ მიშას გულისხმობდა, სამწუხაროდ ჩვენი პრეზიდენტი რომ ერქვა, უამრავი დანაშაული რომ ჩაიდინა, 2013 წლიდან რომ გაქსუვდა და ახლა თქვენი ძმიშვილი მისი მუხლების ალოკვას რომ ცდილობს!

წერილი, რომელიც მე გამოვაქვეყნე „საერთო გაზეთში“, ამ ქალის უმადურობას ეხება... წერილი, რომელიც თქვენ გამოაქვეყნეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ასე დაგისათაურებიათ – „მადლიერება“.

მოდით, ამონარიდების სახით ჩვენი გაზეთის მკითხველსაც გავუმხილოთ, რას წერთ: „ჯანსული უდიდეს პატივს სცემდა ყველას, ვინც საქართველოსთვის იღვწის. ამ მხრივ იგი ძალიან აფასებდა ბიძინა ივანიშვილს, რადგან მიაჩნდა, რომ წვლილი, რაც მან საქართველოს გადარჩენასა და განვითარებაში შეიტანა, სრულიად აუწონავია. უყვარდა და ლექსებიც აქვს მიძღვნილი. გარდა ამისა, პირადი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ ბიძინასთან და უსაზღვროდ მადლობელი იყო მისი და ამ მადლიერების გრძნობით წავიდა ამ ქვეყნიდან. მადლობელი იყო, პირველ რიგში, საქართველოსთვის და ასევე პირადად მისი ოჯახისადმი გაწეული აუწონავი დახმარებისთვის.

შემდეგ იყო ის, რომ მამუკა, რომელსაც სასწრაფო და ძალიან ძვირადღირებული ოპერაცია სჭირდებოდა, ბოლომდე დააფინანსა და შესაძლებლობა მისცა, ვენაში წასულიყო და საჭირო ოპერაციები გაეკეთებინა. ფაქტობრივად სიცოცხლე აჩუქა.

როგორ შეიძლება ამისთვის მადლობელი არ იყო მამა და, მით უმეტეს, ჯანსული, რომელსაც არასდროს ავიწყდებოდა გვერდზე დგომის და ხელის გამართვის ყადრი“.

ბატონო ჯიმი, თქვენც ზუსტად იგივეს ამტკიცებთ გულისტკივილით, რაც მე დავწერე „საერთო გაზეთში“, იგივეს ეკითხებით საკუთარ თავს: როგორ შეიძლება, ნორმალური ადამიანი ამისთვის მადლობელი არ იყო, ეს ხომ წარმოუდგენელია?

თუმცა!

როგორც ვხედავთ, როგორც თქვენს ძმიშვილს ვუყურებთ, თურმე შესაძლებელია, ადამიანი იყო უკიდურესად უმადური, თურმე ყველაფერი წარმოსადგენია!

ისე, რაღა დაგიმალოთ და... როდესაც გავიგე, ბიძინა ივანიშვილმა (ირაკლი ღარიბაშვილის შუამდგომლობით) მამუკას ოპერაციები დააფინანსაო, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა... აი, როგორ ვთქვა, არ ვიცი... განა იგივე მამუკას დასა და სიძეს (თაკო ჩარკვიანსა და ჯონი გოგაძეს) ფული არ ჰქონდათ, რომ ის დაეფინანსებინათ? ბატონი ჯონი ხომ მდიდარ ბიზნესმენად ითვლება? რატომ შეაწუხეს ამისთვის ბიძინა ივანიშვილი?



კარგი, ეს დავივიწყოთ, ღმერთმა ჯანმრთელობა მისცეს მამუკას, ალალი იყოს. მე სხვა რამე მაწუხებს, ამ ქვეყნის ბედი მაღელვებს, რომელსაც 1990-იან წლებში დედა უტირეს და ამაში, სამწუხაროდ, ჯანსულ ჩარკვიანის ოჯახიც მონაწილეობდა. მე და ბატონ ჯანსულს ამ თემაზე არასოდეს გვისაუბრია, სულ ვცდილობდი, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა, ის იყო ედუარდ შევარდნაძის მოტრფიალე (რაზეც რატომღაც არ წერთ) და მესმოდა, „ვუგებდი“. მაშინ ბევრმა დაუშვა შეცდომა, შემდეგ ბევრმაც მოინანია, მაგრამ ვატყობ, თქვენს ძმიშვილს სისხლი უყივის, ჩვეულება არ ასვენებს, ბორგავს, დამხობას ითხოვს, ანგარიშსწორება სწადია, 2012 წლის შემოდგომაზე ახლად მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ კულტურის მინისტრად (სულ მცირე, მოადგილედ) არ დანიშნა. ის პირველივე დღეებში თავის ამფსონებთან ერთად სამინისტროში მივარდა და ამაყად განაცხადა: „დავაი“, დაახვიეთ ჩვენი დრო მოვიდაო!

თაკოს „დროები“ აერია... ჩემზე კარგად გემახსოვრებათ, შევარდნაძის მოსვლისთანავე ბაიყუშები სახალხო ქონებას რომ შეესივნენ და თანამდებობებზე თვითნებურად წამოსხდნენ, იმის გამეორება მოინდომა. დაურეკეს, შენობაში ფეხი არ შეადგათ, ქაჯებივით ნუ იქცევითო. იწყინეს, გადაირივნენ, ეს როგორ, ახლა ხომ ჩვენი დროაო? კი, ბატონო, დავადასტურებ, თაკო ჩარკვიანი ქმართან ერთად ხშირად „დაიარებოდა“ სააკაშვილის საწინააღმდეგო აქციებზე, ის ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მიშა იყო მკვლელი, ყაჩაღი, კრიმინალი და ქვეყნის ამომგდები. ახლა „პლასტინკა“ გადატრიალდა, თუ ადრე ირინა ენუქიძე მისთვის სამაგალითო ქალი იყო, ახლა ყველაფერი უბრალო შეცდომად მიაჩნია. სააკაშვილი უკვე აღარაფერ შუაშია, მან არაფერი იცოდა, უღალატეს, ცუდი რამეები გაუკეთეს, თურმე ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი ყოფილა, ვერ ვხვდებოდით, ვერ ვაფასებდით... აი, ის კაცი კი, რომელსაც ჩარკვიანებზე დიდი ამაგი აქვს, რომელსაც დაუთვლელი (ვეღარ ვითვლით) სიკეთე აქვს „ჩადენილი“, უნდა დაამხოს, გააძევოს, ჩაკლას. კიდევ კარგი, თაკოს და მისნაირ ბოლშევიკებს დღეს არც ძალა აქვთ, არც ფული, არც იარაღი, არც მხარდაჭერა, თორემ აქამდე ცხრაჯერ დაგვხვრეტდნენ!

ავი ენები მეტსაც ამბობენ... როდესაც ბატონი ჯანსული გარდაიცვალა და ბატონი ბიძინა ივანიშვილი პანაშვიდზე მივიდა, ამან, ამ თქვენმა ძმიშვილმა განზე გაიყვანა და ემათხოვრა, მამაჩემს ფულს რომ აძლევდით, ახლა დედაჩემს მიეცით, არ შეგვიწყვიტოთო. ვერაო, უთქვამს „ოლიგარქს“, დედათქვენი საზოგადო მოღვაწე არ არის, უხერხული იქნებაო. მე არ ვიცი, ეს სიმართლეა თუ არა, ასეთი საუბრის დროს იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ მჯერა, ის თანხა რომც დაეტოვებინა, თაკო მაინც აუშვებდა აფრებს. ფულზე ნამდვილად არ იტყოდა უარს, ასე იქცევა გიგა ბოკერიას დედა და ასე იქცევიან სხვების დედები თუ მამები. ასეთი წესი და ადათი აქვთ ამათ, ეს არის ამათი მორალი!

ბატონო ჯიმი, შემდეგ თქვენ წერთ: „ჯანსული კიდევ იმისთვის იყო მადლობელი, რომ ბატონმა ბიძინამ არ დაივიწყა მისი ღვაწლი, არც მამუკასი და აქტიური მონაწილეობა მიიღო მათი ვარსკვლავის გახსნაში. ჯანსული ვეღარ მოესწრო, მაგრამ ვიცი, რომ იმქვეყნიდანაც იგრძნო პატრიარქისა და ბატონი ბიძინას გვერდში დგომა და სიყვარული.

პატრიარქმა სამების ეკლესიაში დაასვენებინა ჯანსული, ხოლო ბატონმა ბიძინამ ჯანსულის დაკრძალვაში მიიღო მონაწილეობა. სანამ ჩვენ ცხედარს მივასვენებდით, ის უკვე მთაწმინდაზე დაგვხვდა, გათხრილ საფლავთან იდგა, როგორც ჭირისუფალი. ამისთვის უკვე მე უნდა ვუთხრა მას მადლობა. ვისურვებდი, რომ ეს მადლობა პირისპირ მეთქვა და თუ ექნება ჩემთან შეხვედრის სურვილი, კიდევ ბევრი მაქვს მოსაყოლი სხვადასხვა თემაზე... ჩემთვის მნიშვნელოვანია, თუ რა ბედი ეწევა ჩემს ქვეყანას. იმედს ვიტოვებ, რომ ეს შეხვედრა შედგება“.

რომ იცოდეთ, თქვენი როგორ მესმის, ბატონო ჯიმი, ამ წერილით ცდილობთ, გამოისყიდოთ ის დანაშაული, ის უმადურობა, ის უზნეობა, რასაც ის ქალი სჩადის და არც სიძე აკლებს. სანამ ჯანსული ცოცხალი იყო, ამდენს ვერ ბედავდნენ!

მაინც მაინტერესებს, რას მოუყვებით ბიძინა ივანიშვილს, თუ მოინდომა თქვენთან შეხვედრა, რაო, აპატიეთ ჩემ ძმიშვილს ამაგს რომ არ გიფასებთო? არა მგონია, ბატონ ბიძინას ამ ალქაჯის საქციელი აღელვებდეს და საერთოდაც ყურადღებას აქცევდეს. თქვენც ხომ კარგად იცით, პარლამენტშიც ვერ მოხვდებოდა, სააკაშვილს რომ არ შეეტენა „ჩერეზ“ ჭიჭე ვაშაძე? ესეც ჩვენი უბედურებაა, ადამიანს, რომელსაც 0001%-იც არ აქვს, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში რანაირად უნდა იჯდეს? თქვენი არ ვიცი და... მე ეს დიდი აბრაკადაბრა უფრო მგონია, ვიდრე დემოკრატია!

გინდათ, ერთი საიდუმლო გაგიმხილოთ? საერთოდ არ მიყვარს ხოლმე პირადი საუბრების გამოტანა სამზეოზე, მაგრამ რაკი თქვენი ძმიშვილი არ ისვენებს და ირაკლი ღარიბაშვილსაც კი ემუქრება დაჭერით, უნდა გითხრათ: ალბათ ორი წელიწადი იქნება მას შემდეგ გასული, შეიძლება ცოტა მეტიც, ან ნაკლები, ყოველ შემთხვევაში, ის დროა, როცა თაკო ჯერ არ ებრძვის არც ხელისუფლებას, არც ღარიბაშვილს, არც ივანიშვილს და არც სააკაშვილის ნავშია გადამხტარი. სააკაშვილს ნავი სად აოხრია, მაგრამ მაინც, ასე იტყვიან ხოლმე ჩვენში. ერთ დღესაც მირეკავს ქალბატონი თაკო და უცნაურ რაღაცებს მეკითხება: ხომ არ იცი, ირაკლი ღარიბაშვილი და მისი სიმამრი მართლა მებრძვიანო? დავიბენი, ჯერ ერთი, საიდან უნდა ვიცოდე, შენ ვინ გებრძვის, ან ღარიბაშვილს და თამაზაშვილს შენთან საბრძოლი რა აქვს-მეთქი? მაგაში დარწმუნებული ხარო? კი, დარწმუნებული ვარ-მეთქი. აღარ მითქვამს, ვინმეს რომ ებრძოლო, წონით, გავლენით, შესაძლებლობით ოდნავ მაინც უნდა გიახლოვდებოდეს-მეთქი, გული აღარ ვატკინე. ბოლომდე არ გამეხსნა, რა აწუხებდა, რის გაგებას ცდილობდა, ვერ მივხვდი, ერთთავად იმას იმეორებდა, დავიჯერო, ეგენი არ მებრძვიანო? როგორც ჩანს, ვიღაცამ დაარწმუნა, ღარიბაშვილები და თამაზაშვილები ძირს გითხრიან, არიქა, თავს უშველეო. მერე წარმოიდგინა, თუ ესენი მიპირისპირდებიან, ალბათ ბიძინა ივანიშვილი აქეზებსო. ბატონო ჯიმი, ერთია უმადურობა, მეორეა – საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა, ანუ პატივმოყვარეობა, არა? სწორედ ეს დაავადება შეეყარა თქვენს ძმიშვილს!



ბატონო ჯიმი, კიდევ მქონდა სათქმელი, მაგრამ ამჯერად აქ შევჩერდები, გული მიგრძნობს, პასუხის დაწერა ისევ მოგინდებათ, ნება თქვენია, უნდა დაწეროთ, მაგრამ სხვა გაზეთში ნუ წაიღებთ, ჩვენთან მოიტანეთ. არა, თუ გნებავთ, წაიღეთ, საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის სრული თავისუფლებაა.

სიმართლე გითხრათ, ძალიან მესიამოვნა, რომ თქვენ მაინც გამოხატავთ მადლიერებას იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჯანსულს და მის ოჯახს ძალიან ბევრი გაუკეთა, ვინც დააფასა. ეს უკვე კარგია.

პატივისცემით,

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61




# შეშლილთა შემოსევა საქართველოში

## ქალის კაბაში გადაცმული „ძველი ბიჭები“ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ ქცეული ქვეყანა

— ჩვენ გავიმარჯვეთ! — საზეიმო ტონით აცხადებს გვარამია, რომელიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძალიან ჰგავს გაუპატიურებულ ოფოფს.

— ჩვენ გავიმარჯვეთ! — გუგუნებენ ნაცები და გამარჯვების ყიჟინას სცემენ.

სამოცდასამი საარჩევნო ოლქიდან ორმოცში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებას მაინც ესენი ზეიმობენ.

ამ ტრაგი-კომედიამ როგორ შეიძლება 2008 წლის 12 აგვისტო არ გაგახსენოს, როცა „ნაცმოძრაობა“ სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ თავისუფლების მოედანზე „გამარჯვებას“ ზეიმობდა და „ძლევამოსილი“ მთავარსარდალი სააკაშვილი ბედნიერებისგან გაბრწყინებული თვალებით და გაბადრული სახით მტერზე „ძლევას“ ულოცავდა ქართველ ხალხს.













როგორი სამარცხვინოები ხართ, ნაცებო, როგორი უბადრუკები, როგორი უტიფრები.

ქართველობის არაფერი გცხიათ თქვენ, ვინ ხართ, საერთოდ, რა ჯიშის ხართ, საიდან მოხვედით, რომელი პლანეტიდან გადმოგასახლეს აქ?

2021 წელსაც ნაცები ზუსტად იმ პიარტექნოლოგიით და იმ სცენარით დგამენ ახალ-ახალ სპექტაკლებს, რომლითაც 2008 წლის „გამარჯვება“ იზეიმეს.

18 წელი გავიდა „ვარდების რევოლუციიდან“, მაგრამ ესენი არ შეცვლილან და ერთი და იგივე მეთოდებით, ერთი და იგივე ტექნოლოგიით ცდილობენ ქართველი ხალხის გაბითურებას და გამოლენჩებას.

სამწუხაროდ, ნაცებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს და ქართველი ხალხის ერთ ნაწილს ისე გამოურეცხეს ტვინი, რომ ამ ადამიანებმა საღად აზროვნების უნარი, ფაქტობრივად, დაკარგეს და ეგზალტირებულ კერპთაყვანისმცემლებად იქცნენ, რომლებიც კერპ მიშას ბრმად ეთაყვანებიან.

რაც არ უნდა უთხრა, როგორც არ უნდა უთხრა, „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებების დამამტკიცებელი რა უტყუარი დოკუმენტებიც არ უნდა დაულაგო წინ, მათზე არაფერი არ ჭრის, მათ არაფრის გაგონება არ სურთ.

— სულ ტყუილად ლაპარაკობთ ამდენს, სულ ტყუილად აგინებთ და აკრიტიკებთ სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“, — ვერ უნდა მიხვდეთ, რომ არ მუშაობს ეს, — ამას ისეთი ნიშნისმოგებით და ისეთი კმაყოფილებით აცხადებენ ნაციონალები, ეტყობა, ჰგონიათ, რომ კარგ რაღაცას ამბობენ.

დიახ, მართლები ხართ, ნაციონალებო, ნამდვილად არ მუშაობს თქვენს მხარდამჭერებთან თქვენი კრიტიკა, თქვენი მხილება, მაგრამ იმას რატომ არ ამბობთ, რატომ ხდება ეს?

რატომ ხდება და იმიტომ ხდება, რომ თქვენ, ამ 18 წლის განმავლობაში იმდენი მოახერხეთ, რომ ათასობით და ათიათასობით ადამიანი ლენჩად და ზომბად აქციეთ, დააჰიპნოზეთ, დაიმონეთ, დააყრუეთ, დააბრმავეთ და ამ გონდაკარგულ მასას აღმა-დაღმა დაატარებთ თქვენს ჭკუაზე.

სხვა დანაშაული რომ არაფერი ჩაგედინათ საქართველოს წინაშე, მარტო ეს დანაშაული გეყოფოდათ უდიდეს ცოდვად — ადამიანების გონებრივი და სულიერი კასტრაცია, ადამიანების მასობრივი დეგენერაცია და დემორალიზაცია, ადამიანების უგონო ჯოგად, ბრბოდ ქცევა, რომელსაც ერთმანეთში აერია რეალობა და ჰალუცინაციური ხილვები, სიმართლე და ტყუილი, სიკეთე და ბოროტება.

საქართველოს შეშლილთა დიდი ლაშქარი უტევს დღეს, მთავარი შეშლილის, სააკაშვილის სარდლობით, რომელსაც გვერდს უმშვენებს ასევე კრამიტდაცურებულთა „გენერალიტეტი“, ხოლო მათი დასაჭურისებული გებელსი, გვარამია, ქმნის და ქმნის მოდელირებული საქართველოს ახალ-ახალ „დოკუმენტურ“ ტელეკადრებს, სადაც გონიერ ადამიანებთან ბრძოლაში გამარჯვებულები შეშლილები არიან.

ისეთმა რა უბედურებამ გადაუფრინა ქართული „გუგულის ბუდეს“, რომ ნახევარმა ქვეყანამ გააფრინა.

ჩვენ თვალი და ყური შევაჩვიეთ იმას, რაც ჩვენს თვალწინ ხდება და ამიტომ ვერ აღვიქვამთ მთელი სიმძაფრით იმ კოშმარს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, თორემ უცხომ რომ შემოიხედოს აქ და ის ნახოს, რასაც ჩვენ ყოველდღე ვუყურებთ, აუცილებლად იტყვის: გაგიჟებულხართ თქვენ და ვერ ხვდებით, რომ გაგიჟებულხართ.

სამკურნალო ერი გვიწოდა ერთხელ ერთმა მწერალმა და კინაღამ გადავირიეთ: სამკურნალო რა გვჭირს ჩვენ, ყველამ თავის ავადმყოფ მამიდას მიხედოსო, თუმცა გულის სიღრმეში მაინც გვღრნიდა ეჭვი, მართალს ხომ არ გვეუბნება ის კაციო.

მარტო ჩვენ არ გავგიჟებულვართ ამ პლანეტაზე, ისეთ რაღაცებს ვხედავთ, ისეთი რაღაცები გვესმის, თითქოს მთელი კაცობრიობა შეირყა და შეიშალა.

ის კი არა, ისინიც კი, ჩვენს ჭკუის მასწავლებლად, ჩვენს მოსაჭკვიანებლად რომ ჩამოდიან აქ ყოველდღე, თავადაც არ ჰგვანან მთლად ნორმალურებს და ადგილობრივ არანორმალურებთან მყისვე გამონახავენ ხოლმე საერთო ენას.

**როგორ შეიძლება ნორმალური ეწოდოს იმ მსოფლიოს, რომელიც ვერ ხვდება, რომ სააკაშვილი ნორმალური არ არის და ხან რეფორმატორს ეძახის, ხან — დემოკრატიის შუქურას?**

მაღალკვალიფიციური ფსიქოლოგები და ფსიქიატრები გვჭირდება, რომ დაიდოს კვალიფიციური სამედიცინო დასკვნა თუ რა ფსიქიკური პრობლემები აქვს „ნაცმოძრაობას“ და მის მხარდამჭერებს, თორემ ჩვენ, დილეტანტებმა, როგორ უნდა დავადგინოთ, რატომ იხოცავს ცხვირს ხელით სააკაშვილი, რატომ ადგება ტუჩის კიდეებთან დუჟი, რატომ ჰგონია საკუთარი თავი ხან ჯორჯ ვაშინგტონი, ხან — დავით აღმაშენებელი, ხან — გიორგი სააკაძე.

თუ არა პროფესიონალმა ფსიქიატრებმა და ფსიქოლოგებმა, ჩვენ, დილეტანტებმა. როგორღა უნდა გამოვარკვიოთ, რა ჭირს, ვთქვათ და, ნიკუტა გვარამიას, რომელიც ხან დედას იგინება ღია ეთერში, ხან — ქალბატონებზე იწევს საცემრად, ხან — გატყავებით ემუქრება ოპონენტებს, ხან კიდევ, ჩამოკიდები თ.



ჩვენ, დილეტანტებმა, რა დიაგნოზი უნდა დავუსვათ ქალბატონების ერთ კატეგორიას, რომლებსაც რატომღაც ხულიგნობისა და ძველბიჭობისკენ გაუჩნდათ მიდრეკილება და „მუსკულებს“ ათამაშებენ.

ასე, მაგალითად, მუსკულებს ათამაშებს თვით ანი წითლიძეც კი, რომელსაც, მართალია, მუსკულები არ აქვს, მაგრამ „დუხით“ ცდილობს ორმეტრიანი მამაკაცების დაგდებას და ისე „ეკაჩავება“ და ისე აწვება მეტოქეს, შეიძლება „დააჩმოროს“ კიდევაც.

არადა, ვინმემ რომ სული შეუბეროს ან შეაფურთხოს, შეიძლება იმ ფურთხიდან ვერ გამოსცუროს.

საიდან გაჩნდნენ ამ ტიპის, უკაცრავად გამოთქმაზე და, ქალბატონები, რომლებიც კაცები არ არიან, მაგრამ არც ქალებს ჰგვანან.

სად, რომელ ლაბორატორიაში გამოიყვანეს ეს ახალი ჯიშის არსებები — ქალის კაბაში გადაცმული ძველი ბიჭები?

სად, რომელ საიდუმლო ლაბორატორიებში გაწვრთნეს და დაატრენინგეს „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები და ინსტრუქტორები, ყველა რომ ერთმანეთს ჰგავს, ყველა რომ ერთნაირად მეტყველებს, ყველა რომ ერთნაირად იქნევ ხელ-ფეხს და ერთნაირად აკანტურებს თავს.

არჩევნებიო, ვამბობთ, ხან საპარლამენტო, ხან — თვითმმართველობის არჩევნებიო, გავიძახით.

რა არჩევნები, რისი არჩევნები, არჩევნები კი არა, 2012 წლიდან გიჟების მოგერიებაში ვართ — წინა კარებიდან გავაგდებთ, უკანა კარებიდან მოძვრებიან, იქიდან გავყრით, ფანჯრებიდან მოღოღავენ.

ჰიჩკოკის საშინელებათა ფილმები მახსენდება, ამათ რომ ვუყურებ.

იმ ვამპირივით არიან, ერთხელ რომ გასინჯა სისხლის გემო და მერე სისხლის გარეშე ცხოვრება რომ არ შეუძლია.

ამათაც ერთხელ გასინჯეს ძალაუფლება და მას შემდეგ ძალაუფლების გარეშე მუდმივ „ლომკაში“ არიან, სულ ძალაუფლების ტკბილი სისხლი ენატრებათ.

ღმერთო, დაიფარე საქართველო შეშლილთა შემოსევისგან!

**დავით ქავთარია**

# „არაფერი გვეშველება, სანამ მშენებლობის სამინისტრო არ აღდგება და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფუნქცია არ დაუბრუნდება“

**ბათუმში, საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის ფაქტზე დაკავებულ სამ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2021 წლის 4 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდში, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, შესაბამისი საინჟინრო ცოდნის მქონე სპეციალისტის მონაწილეობის გარეშე, საინჟინრო და უსაფრთხოების წესების დარღვევით აწარმოეს სამშენებლო სამუშაოები რა დროსაც მოშალეს როგორც არამზიდი, ასევე მზიდი კონსტრუქცია. 8 ოქტომბერს, როცა დილის საათებში ბრალდებულები აღნიშნულ ფართში სამუშაოს გასაგრძელებლად მივიდნენ, შენიშნეს, რომ კედლებს მოძრაობა ჰქონდა დაწყებული. სცადეს აღნიშნული კედლების გამაგრება რკინის კონსტრუქციებით, თუმცა, შემდეგ შემთხვევის ადგილი დატოვეს. შვიდსართულიანი კორპუსის ნგრევას 9 პირის, მათ შორის სამი არასრულწლოვნის გარდაცვალება მოჰყვა. შეიძლებოდა თუ არა მომხდარის თავიდან აცილება და მოსალოდნელია თუ არა მსგავსი შემთხვევების გამეორება? ამ კითხვებით „საერთო გაზეთმა“ „საქართველოს რეფორმატორთა კავშირის მშენებელთა ლიგის“ თავმჯდომარეს, ანზორ საკანდელიძეს მიმართა.**





— სანამ ბათუმში მომხდარი ტრაგედიის მიზეზებზე მოგახსენებდეთ, მინდა სახლის ჩამონგრევის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს მივუსამძიმრო. ეს უბედურება 2004 წელს დაიწყო, როდესაც იმდროინდელმა ხელისუფლებამ სამშენებლო მაფიის ინტერესების შესაბამისად, მშენებლობის სამინისტრო გააუქმა — უწყება, რომელიც მთელ მსოფლიოში მშენებლობის ხარისხის, სეისმოუსაფრთხოების, სამშენებლო ეკოლოგიური უსაფრთხოების და სამშენებლო წესრიგის დაცვის მთავარი გარანტია.

ქვეყანაში, სადა მშენებლობის ბუმია, მშენებლობის სამინისტროს არარსებობა უვიცობაზე მეტი, მავნებლობაა. საქართველოს ყოფილმა ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც არც ერთ ქვეყანას არ გაუკეთებია. უფრო სწორად, ერთმა გააკეთა, მაგრამ დროულად მიხვდა შეცდომას და გამოასწორა.

**— რომელ ქვეყანას გულისხმობთ?**

— უკრაინაში იუშჩენკო და სააკაშვილი საქართველოში უნისონში მოქმედებდნენ და მშენებლობის სამინისტროები ერთდროულად გააუქმეს. სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ, როდესაც უკრაინაში სამშენებლო სფერო დაიშალა და განუკითხაობა გამეფდა, იუშჩენკოს გონებიერება ეყო და მშენებლობის სამინისტრო აღადგინა, ჩვენ კი უკვე ჩვიდმეტი წელია ვუყურებთ ყველაფერი როგორ ნადგურდება და სამინისტროს აღდგენაზე არავინ ფიქრობს.

**- ბათუმში მომხდარ ტრაგედიასთან მშენებლობის სამინისტროს ყოფნა-არყოფნა რა კავშირშია?**

- პირდაპირ კავშირშია. როდესაც სამშენებლო მაფიამ მშენებლობის სამინისტრო გააუქმა, არტმშენინსპეციის სამსახური, რომელიც მშენებლობის ნებართვებს გასცემდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს გადასცეს. აქედან დაიწყო მთელი უბედურება თბილისშიც, ბათუმშიც და და სხვაგანაც, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობები ამ საკითხებს თვითონ წყვეტენ, როგორც უნდათ.

**— რა გამოვიდა, მშენებლობის სამინისტროს ფუნქციები ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეითავსა?**

— ყველა ფუნქციას რა თქმა უნდა, ვერ შეითავსებდა, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია — სამშენებლო ნებართვების გაცემა ნამდვილად შეითავსა. ახლა მთავარია ფული გადაიხადო და რაც გინდა, სადაც გინდა, როგორც გინდა და რამდენსართულიანიც გინდა ააშენე, კაციშვილი მომკითხავი არაა. მე ამას წლების წინ სიკვდილის კონვეირი ვუწოდე, რადგან სამშენებლო ნებართვების 90–95% კანონდარღვებით გაცემულია. ზედამხედველობასაც პრაქტიკულად, არ უწევენ და თუ უწევენ, ზედაპირულად. ლაბორატორიული ზედამხედველობა თითქმის ნულთანაა გათანაბრებული და ამას მოჰყვება მიღება-ჩაბარება. უკვე 17 წელია, ყველაფერი ამ სასიკვდილო კონვეიერში ბრუნავს, შედეგებს ყველა ვხედავთ, მაგრამ მაფია არ გვაძლევს საშუალებას, რომ წესრიგი აღვადგინოთ.

ყველაფერი ერთ წრეზე ტრიალებს და არ ვიცი ასე როდემდე გაგრძელდება. მშობლები, რომლებიც ამ უბედურებას წინ ვერ აღვუდექით, შვილების და შვილიშვილების წინაშე დანაშაულს ჩავდივართ და ბათუმში დატრიალებული ტრაგედია ამის დასტურია.

იცით, დღეს მშენებლობის ნებართვებს როგორ გასცემენ? ვიღაც თავის სახლში გახსნის ფირმას, დაირქმევს ექსპერტს და 200 ლარად გასცემს ცნობებს, რომ ესა თუ ის მშენებლობა ნორმებს შეესაბამება. ალბათ, 10 წლის წინ ბათუმში ჩამონგრეულ კორპუსზე ორი სართულის დაშენების ნებართვაც ასე გაკეთდა. უნდა მოიძებნონ იმ ნებართვის გამცემი და იმ დაჭერილ ხალხს გვერდით მიუსვან. მთელი თბილისი, ბათუმი და საქართველო ასეთი უკანონო მიშენება-დაშენებებით სავსეა და ერთი კაცი არ დაუკავებიათ, რომ რაღაც პრეცენდენტი მაინც შექმნან. ამ ნებართვების გამცემებიც და პროექტის მომწონებელი ექსპერტებიც დასაჭერია. ამ ხალხმა შექმნა ქაოსი, რომელსაც დღეს ვიმკით.





**— ბათუმის ტრაგედიის შემდეგ უამრავი ადამიანი გამოჩნდა, რომელიც ამბობს, რომ მის საცხოვრებელ კორპუსში სარემონტო სამუშაოები სამშენებლო ნორმების დარღვევით ხორციელდება. ამ ადამიანებს რას ურჩევთ?**

— სამშენებლო კანონმდებლობის დარღვევაზე მაცხოვრებლებმა აუცილებლად უნდა იჩივლონ. ადგილზე უნდა მივიდნენ მერიის წარმომადგენლები ტექნიკური ზედამხედველობიდან, უნდა შეამოწმონ ნახაზები, ნახონ სამუშაოები ნახაზებს შეესაბამება თუ არა. თუ გადაკეთება და გადატანა უნდა, ამის ნებართვაც უნდა არსებობდეს. თუ ვინმე საცხოვრებელი ფართის გადაკეთებას უნებართვოდ და უპროექტოდ ახორციელებს, ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა. ყველა ვხედავთ, რომ სამშენებლო კანონმდებლობა ჩვენს თვალწინ, ფაქტობრივად, ყოველ დღე მასობრივად ირღვევა და პასუხს არავინ არაფერზე აგებს. აქედან გამომდინარე, მაცხოვრებელთა ყურადღება და აქტიურობა ძალიან მნიშვნელოვანია.

მე ასათიანის ქუჩაზე ვცხოვრობ. ჩემი სახლის მეზობლად, ყოფილი ფსიქიატრიულის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამშენებლო ნორმის დარღვევით, რვა 32 სართულიანი რკინა-ბეტონის კარკასული ტიპის შენობის აგება იგეგმებოდა. მე და ჩემმა მეზობლებმა სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ და მშენებლობა შევაჩერეთ, მაგრამ პროცესები დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა და ერთი დაწყებული კორპუსის დასრულება მაინც მოახერხეს. ის კორპუსი დღეს გაყიდულია, ხალხი შესახლებულია და თითქმის ავარიულია.

ისე ვართ ამ უბედურებაში შესული, რომ არაფერი გვეშველება, სანამ მშენებლობის სამინისტრო არ აღდგება და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფუნქცია სამინისტროს არ დაუბრუნდება. ნაციონალურმა მოძრაობამ ქვეყნის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინა. არც ერთ ქვეყანაში არ გაუქმებულა მშენებლობის სამინისტრო, რადგანაც ის არეგულირებს ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესს და ატარებს მონიტორინგს. გაფუჭებულ საქმეს გამოსწორება უნდა და ხელისუფლება თუ გონს არ მოვა და მშენებლობის სამინისტრო არ აღადგინა, სავალალო შედეგები გველის.

ჩემს ნაშრომში „რა უნდა გაკეთდეს თბილისისა და თბილისელების გადასარჩენად“ კიდევ ერთი გამოსავალის შესახებ ვწერ. კერძოდ, მერიასთან უნდა შეიქმნას სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, სადაც ყველა აუცილებელი სამუშაო ჩატარდება. რას ვგულისხმობ, როდესაც ნებისმიერი სამშენებლო ობიექტის პროექტი კეთდება, პირველად სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ტარდება. ეს არის საინჟინრო გეოლოგია და ა.შ. როცა პროექტამდე მიიყვან, ამას აუცილებლად უნდა დასკვნა, რომ ყველაფერი სწორად არის გაკეთებული. სწორედ ეს ცნობებია აუცილებელია, რომ მშენებლობის ნებართვა მიიღო. მთელი უბედურება ისაა, რომ ამ პროცესებში კვლევითი სამუშაოები ამოვარდნილია. მოგეხსენებათ, რომ წინა ხელისუფლებამ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები ხელის ერთი მოისმით დახურა. ეს იყო ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, რომელსაც მსოფლიო დონის ნაშრომები ჰქონდა. ეს ინსტიტუტი სამხარაულის საექსპერტო ბიუროს შეუერთეს და ფაქტობრივად, მოკლეს. სანდრო ეულის ქუჩაზე უნიკალური ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი იყო. იქ დამუშავებული სამშენებლო და სეისმური ნორმები და წესები მთელ საბჭოთა კავშირში სავალდებულო იყო. ინსტიტუტი დაშალეს და შენობა „რუსთავი 2“ აჩუქეს თუ მიყიდეს. სასტუმრო „აჭარის“ უკან ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა უზარმაზარი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იყო, ვერც ეს ინსტიტუტი გადარჩა. გაანადგურეს ქართული გეოლოგიური სკოლა, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო იყო.. რომელი ერთი დაგისახელოთ. სწორედ ამ მავნებლური მოქმედების შედეგია ის, რასაც დღეს ვიმკით.

ნელი თორდია
571 35 36 88

**P.S. „საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის გამო და უერთდება საერთო-სახალხო გლოვას.**

**ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ახლობლებს და გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ იმ გმირი მაშველების მიმართ, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობდნენ ტრაგედიის ადგილას...**

**მადლობა შს სამინისტროს და საქართველოს ხელისუფლებას დაზარალებულთათვის დროული და საჭირო დახმარების აღმოჩენისთვის.**

# „გუბერსკის“ ციხის პატიმრის მოგონებები

## ცოდვების მონანიების ნაცვლად აქეთ გვედავება მკვლელი და გარეწარი სააკაშვილი

უამრავი დამნაშავე თუ უდანაშაულო ადამიანი ახსოვს ორთაჭალის ყოფილ საგამოძიებო იზოლატორს, რომელსაც მოსახლეობა „გუბერსკის ციხედ“ იცნობდა. ბევრი ადამიანის სიცოცხლეც დასრულდა მეწარმე მანთაშოვის მიერ ნიკოლოზ მეორისთვის ნაჩუქარ სატუსაღოში. თუმცა შენობები საფეიქრო ქარხნისთვისააგო. მეწარმემ იმპერატორის გულის მოსაგებად ნაგებობები ციხედ გადააკეთა და რომანოვების დინასტიას უბოძა...

პატიმარ სააკაშვილის უსაფუძვლო პრეტენზიებმა, უნებურად გამახსენა სააკაშვილის პრეზიდენტობისდროინდელ ციხეებში არსებული მდგომარეობა, რისი უშუალო მხილველიც პირადად ვარ.



...„გუბერსკის“ პატიმრები ლეგენდასავით ყვებოდნენ — ციხის ეზოში არსებული აუზი სიკვდილმისჯილის დახვრეტის შემდეგ იცლებოდა. თითქოს მოკლულის სხეულს სპეციალურ ქიმიურ ნივთიერებას ასხამდნენ, ადნობდნენ და აუზის წყალს მტკვარში ჩაჰქონდა. თუმცა, როგორ ხდებოდა პატიმრების დახვრეტა, სიკვდილმისჯილთა საკანში 1,8 წლით მყოფებმაც ვერ მითხრეს, რადგან ეს სრულიად გასაიდუმლოებული იყო. აუზი ბოლოს 1997 წელს დაიცალა, როდესაც ბოლო სიკვდილმისჯილი დახვრიტესო. ამის შემდეგ, როგორც ვიცით, სიკვდილით დასჯა ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა. 2005 წელს იმასაც ამბობდნენ, კიდევ კარგი, სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, თორემ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში გასული საუკუნის 30-იანი წლებში ყოფილ საბჭოეთში განხორციელებული რეპრესიები და დახვრეტები მონაგონი იქნებოდაო.

სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობაზე ამჯერად არ ვისაუბრებთ, ერთი კი უნდა ვთქვათ: ნებისმიერი პიროვნების დაპატიმრება რამდენიმე ადამიანის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, რაც ყველამ კარგად იცის.

იუსტიციის მინისტრობა შლეგმა სააკაშვილმა სპექტაკლების დადგმით დაიწყო — ჟურნალისტები პატიმრების გადასაყვანი მანქანებით მიიყვანა „გუბერსკის“ ციხეში, აჩვენა ე.წ. კარანტინის საკანი, ნახეთ, რა გაუსაძლის პირობებში უხდებათ ყოფნაო. თუმცა ვითარების გამოსასწორებლად არაფერი გაუკეთებია, იმის მიუხედავად, რომ პენიტენციური დაწესებულებები იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. სამწუხაროდ, ბევრმა დაიჯერა მისი ზღაპრები. ამიტომაც პატიმრების უმრავლესობამ სახელმწიფო გადატრიალების დღეებში, 2003 წელს მიხოს უპირობოდ დაუჭირა მხარი, ფიქრობდნენ, ყოფით პირობებს გაუუმჯობესებდა, თუმცა...

...პოლიციიდან წინასწარი დაკავების (ე.წ. „კაპეზეში“) გადამიყვანეს. საკანში შეყვანამდე პატიმრებს ექიმი ვიზუალურად ათვალიერებდა, ფიზიკური ზეწოლის კვალი ხომ არ აჩნდა. ამით ამთავრებდა ექიმი თავის მოვალეობას. საკანი ვიწრო და ბნელი იყო. დაკავებულებს პირდაპირ ხის შემაღლებულ იატაკზე ეძინათ. ლეიბზე და ბალიშზე ლაპარაკი ზედმეტია, მხოლოდ გადასაფარებელს აძლევდნენ. მართალია, 2005 წლის შემოდგომა იდგა, მაგრამ ნესტიან სარდაფში საკმაოდ გრილოდა. წყალს საკანში მხოლოდ მკაცრი გრაფიკით უშვებდნენ. ტუალეტი „საწოლებიდან“ ორ ნაბიჯზე იყო, იქ შესვლა ნებისმიერისთვის უხერხული და პირდაპირ წამება გახლდათ.

ციხეში გადაყვანის შემდეგ დაკავებულები ე.წ. კარანტინში შეჰყავდათ, საკანში ლეიბი კი არა, გაზეთებიც არ იყო რკინის საწოლებზე გადასაფარებლად. სამაგიეროდ, მრავლად იყო უცნაური ჯიშის მკბენარი ბაღლინჯო, რომლებსაც პატიმრები „კლოპებს“ ეძახდნენ, ძირითადად ღამით გამოდიოდნენ „სანადიროდ“. ცარიელ, რკინის ნარებზე დაწოლა კი არა, დაჯდომაც სახიფათო იყო. „კლოპის“ ნაკბენი კანის დაავადებებსაც იწვევს. ამ პირობებში დაკავებულს ერთ კვირას ამყოფებდნენ. შეგახსენებთ, ყოველივე 2005 წლის შემოდგომაზე ხდებოდა.

უცნაურია, მაგრამ კორპუსის (სართულზე) საკანში გადაყვანა ადამიანებისთვის შვებისმომგვრელი იყო. ასე მხოლოდ კარანტინის შემდეგ გვეჩვენებოდა. საკანი ფუტკრის სკას მოგაგონებდათ, იდგა რაღაც არაბუნებრივი გუგუნი, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრები ხმადაბლა საუბრობდნენ, რადგან მძინარეთათვის ხელი არ შეეშალათ, მაგრამ... საწოლი ყველას არ ჰყოფნიდა, ან ორ ადამიანს უნდა დაესვენა ერთ საწოლზე, ან დალოდებოდა ადგილის გათავისუფლებას, დაკავებულთა რაოდენობა ყოველდღიურად კატასტროფული სისწრაფით იზრდებოდა.

სიმართლე უნდა ითქვას, ციხის თანამშრომლები და ადმინისტრაციაც გაოგნებულები იყვნენ პატიმრების ასეთი დიდი რაოდენობით, მაგრამ მათ არაფერი შეეძლოთ ეღონათ ვითარების გამოსასწორებლად. სიტუაცია იმდენად გართულდა, დეკემბერში ციხეში საყოველთაო შიმშილობა დაიწყეს. შედეგად, 2006 წლის იანვარში შეიცვალა ციხის უფროსი, ადმინისტრაციის თანამშრომლები. პატიმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. დაკავებულების რაოდენობამ განსაკუთრებით მას შემდეგ დაიწყო ზრდა, რაც შლეგმა სააკაშვილმა „ნულოვანი ტოლერანტობა“ გამოაცხადა. ვის აღარ შეხვდებოდა ადამიანი ციხეში — მოხუცს, ახალგაზრდას, სტუდენტს, დამნაშავეს თუ ალალ-მართალს. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა.



პატიმრების დასაშინებლად და დასამორჩილებლად ნაცბანდის ხელისუფლებამ ძალის დემონსტრირება გადაწყვიტა. ამიტომაც მოაწყო იმდროინდელმა ხელისუფლებამ ციხის ბუნტი. დიახ, ხელისუფლებამ! არეულობა ჯერ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიწყო. ციხეში ჯერ კიდევ სიწყნარე იყო, მაგრამ კარგად გვესმოდა ლაზარეთში („ბალნიჩკაზე“) მყოფებს, როგორ შემოვიდა ეზოში შინაგანი ჯარი და სპეცდანიშნულების რაზმი, შემოგრიალდა ქვეითების საბრძოლო მანქანა... კორპუსებიდან გაიყვანეს ციხის მორიგე თანამშრომლები, რომლებიც ფაქტობრივად იზოლაციაში მოაქციეს. შუაღამისას დაიწყო სადამსჯელო ოპერაცია. მართალია. „ბალნიჩკაზე“ არ შემოსულა ჯარი, მაგრამ კარგად გვესმოდა ავტომატის სროლების ხმა. ჯავშანმანქანიდან ისროდნენ მსხვილკალიბრიანი(!) ტყვიამფრქვევიდან! ტყვიების კვალი კარგად აჩნდა ციხის კედლებს, რომლების ამოლესვას თვეზე მეტი მოანდომეს.

დილით დამთავრდა ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სადამსჯელო ოპერაცია. ამის თქმის საფუძველს ციხის თანამშრომლის მონათხრობი მაძლევს. მისი მონაყოლით, ოპერაციას უშუალოდ გიგა ბოკერია ხელმძღვანელობდა, რომელიც ციხის უფროსის კაბინეტში იჯდა და იქიდან იძლეოდა განკარგულებებს. მისი თქმით, სხვა ბევრი მაღალჩინოსანიც იყო, მაგრამ ყველა ვერ დავიმახსოვრე და ვერ ვიცანიო, მიყვებოდა აღელვებული. თორმეტი ადამიანია მოკლული, რაც მე ვნახეო, კანკალით მეჩურჩულებოდა. ვინმეს რომ მოესმინა ჩვენი საუბარი, არც მას დაინდობდნენ და ვინ იცის,.. უკეთეს შემთხვევაში, ჩვენ მოგვისვამდნენ გვერდზე.

ეგზეკუციის შემდეგ მალე კვლავ შეიცვალა ციხის უფროსი. პატიმრების ამანათში პროდუქტების ჩამონათვალი განახევრდა. შაქრის შემოგზავნაც კი აკრძალეს! სამაგიეროდ, იზრდებოდა პატიმრების რაოდენობა. საკანში 20 საწოლი იყო, მაგრამ ასამდე ადამიანი ცხოვრობდა. იქვე უნდა გაგვერეცხა, დაგვებანა, გვეჭამა... ცალკე არც საშხაპე იყო და არც ტუალეტი, ყველაფერი ერთად იყო. საკანში ან უნდა წოლილიყო ადამიანი, ან დამჯდარიყო. ტუალეტამდე მისვლაც პრობლემა იყო! ცივი ზამთარია თბილისში, ყინვებიაო, გვაცნობებდნენ ახლობლები, მაგრამ საკანში საზაფხულო ტანსაცმლით ვიყავით. არა, გათბობა ნამდვილად არ გვქონდა, უბრალოდ, ხალხმრავლობის გამო იდგა ბუღი! ზაფხული წარმოუდგენლად რთული გადასატანი გახდა, სუნთქვა შეუძლებელი იყო, პირდაპირი მნიშვნელობით. ვენტილატორების შემოტანის უფლება მოგვცეს, მაგრამ შვება არც ამას მოუტანია.

ექიმთან მისვლა ყოველთვის პრობლემა იყო, მაგრამ ე.წ. „ციხის ბუნტის“ შემდეგ კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა. დღის 3 საათის შემდეგ მხოლოდ ერთი ექთანი ემსახურებოდა ათასობით პატიმარს.





2006 წლის ცხელი ზაფხულის პერიოდში ათზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა გადახურებით. ეს, რაც დანამდვილებით ვიცი კომპეტენტური პირების ინფორმაციით, თორემ ოფიციალური სტატისტიკა ნებისმიერი ადამიანისთვის დღესაც ხელმიუწვდომელია.

ვცდილობდით, დაგვედგინა, რამდენი ადამიანი იმყოფებოდა „გუბერსკის“ ციხეში, საერთოად, რამდენი ადამიანი იხდიდა სასჯელს საქართველოში. ჩვენი უხეში ანგარიშით, 35–40 ათასი პატიმარი იმყოფებოდა ერთდროულად სასჯელაღსრულების სისტემაში.

უკეთესი მდგომარეობა არც ე.წ. კოლონიებში იყო. ქსნის მე-17 დაწესებულება 500 ადამიანზე იყო გათვლილი, მაგრამ იქ სამჯერ მეტი პატიმარი იმყოფებოდა. სასადილო, სადაც საბჭოთა პერიოდში პატიმრები საკვებს იღებდნენ, საცხოვრებლად იყო გადაქცეული. მსჯავრდებულები ცელოფნებით აკეთებდნენ კარვებს და ასე ეძინათ, ზაფხულში ბევრი ღია ცის ქვეშ ამჯობინებდა დაძინებას. ყველა სიკეთესთან ერთად, წყლის პრობლემაც მწვავედ იდგა. დასალევი წყალი სადღაც მთებიდან იყო ჩამოყვანილი, თორემ რაც ონკანში მოდიოდა, მხოლოდ სარეცხისთვის შეიძლებოდა გამოყენება. ამიტომაც 2007 წლის მარტში დიზინტერიით 8 ადამიანი გარდაიცვალა...

ყოველივე, რაც მოგიყევით, საკუთარ თავზე გამოვცადე, არაფერია მოგონილი და ფანტაზიის ნაყოფი.

წერილის დასაწყისში ვთქვი, რომ გული დამწყდა „გუბერსკის“ ციხის დანგრევის გამო. დიახ, ასეა, რადგან შლეგი სააკაშვილი მინიმუმ მსგავს პირობებში უნდა იხდიდეს სასჯელს.

არავის პატიმრობა არ გამიხარდება და არც მიხარია, მაგრამ გაბრაზებული კი ვარ! გაბრაზებული ვარ, 9 წელი ველოდით დამნაშავის დასჯას! ცოდვების მონანიების ნაცვლად აქეთ გვემუქრება მკვლელი და გარეწარი! ასეულობით მოკლული ადამიანისთვის, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვისთვის, ხალხის მასობრივი წამებისთვის მინიმალური სასჯელი აქვს მისჯილი. თუმცა არავის დაგვიწყებია შლეგი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მმართველობა. ამიტომაც გაფრთხილდეს თავად სააკაშვილი და მასთან ერთად მისი მხარდამჭერები, რადგან ხალხი უფრო მკაცრ სასჯელს გამოუტანს, ვიდრე კანონი. გაყუჩდეს და მიეგდოს საკანში.

გია ბურდული
551 71 27 07

# ცოტა რამ ქართულ-ირანული ურთიერთობების შესახებ



მუსულმანური საზოგადოება საქართველოში რიცხობრივად მეორე ადგილზეა მართლმადიდებლობის შემდეგ, რის გამოც, მრავალკონფესიურ საქართველოში რელიგიური ფაქტორი განმსაზღვრელია არა მხოლოდ აქ მაცხოვრებლებისთვის, არამედ თავად სახელმწიფოსთვის.

რა თქმა უნდა, საქართველოში მაცხოვრებელი მუსულმანების განწყობაზე გარკვეულ გავლენებს ახდენს ცვლილებები, რაც ხდება მეზობელ აზერბაიჯანში, ირანსა და თურქეთში და არა მხოლოდ ამ ქვეყნებში. გარკვეულ როლს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციებიც თამაშობენ.

სირიის ომში ათობით დაღუპული ახალგაზრდის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა შორის საქართველოს მუსულმანური საზოგადოების წევრებიც იყვნენ და იბრძოდნენ იგილ-ის მხარეს, იძლევა შესაძლებლობას, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რადიკალიზაციის პროცესის მექანიზმს უფრო შორს აქვს ფესვები გადგმული და ის, შეიძლება, საქართველოში დესტაბილიზაციისთვის გარკვეულმა ჯგუფებმა გამოიყენონ.



ბოლო წლებში ირანული რადიკალიზმის მუხტი ნელ-ნელა გროვდება ჩვენს ქვეყანაში.

სალაფიტური დაჯგუფებების ნაწილმა უკვე გააჟღერეს თავიანთი ინტერესებისა და განზრახვების შესახებ კახეთის რეგიონში.

თუ მშრალი არგუმენტებით ვიხელმძღვანელებთ, ირანის როლის ზრდა რეგიონში და საქართველოს გარკვეულ ნაწილებში, გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ, მოსალოდნელია, ახალი, ირანის მიერ კონტროლირებადი ფართო ორგანიზაციების ფორმირება.

როგორც ცნობილი გახდა, მრავალრიცხოვანი ფინანსური სუბსიდირებით, რეგიონში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში იქმნება ჯვარედინი კავშირების სისტემა, რომლებიც მიზანმიმართულად იმართებიან ირანიდან და საჭიროების შემთხვევაში, ადვილად ტრანსფორმირდებიან ნებისმიერი მოდიფიკაციის და სირთულის რადიკალურ ჯგუფებად, უფრო ფართო მასშტაბებით, ვიდრე დღეს არის ის.

ეს, თავის მხრივ, გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული მესამე მხარე საქართველოში, გარკვეული დროის შემდეგ, შეძლებს ხელოვნური, რელიგიათაშორისი დაპირისპირებების ინიცირებას, რამაც, ადვილი შესაძლებელია, კრიტიკულ ზღვრამდე მიგვიყვანოს.

ცხადია, მხედველობაში გვაქვს გარკვეულ რეგიონებში წინააღმდეგობები ქრისტიანულ და მუსულმანურ უმცირესობებს შორის.

გასაკვირი იყო ჩემთვის, რომ, თურმე, საქართველოში არსებობენ სოციალური ჯგუფები, რომლებიც ექვემდებარებიან ირანიდან მომდინარე გავლენებსა და დირექტივებს. ასევე არსებობენ მარგინალური შრეები მუსულმანურ ჯგუფებში, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ტრანსფორმირება რადიკალურ და რეალურად ფუნქციონირებად გაერთიანებებად.

გასათვალისწინებელია, რომ განათლების სიმცირე ადგილობრივ მუსულმანებში განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან. დამოუკიდებელ სახელმწიფოებში რელიგიის მასწავლებლების შესვლა არაბული ქვეყნებიდან და ირანიდან უფრო ადვილი გახდა. მათმა მოღვაწეობამ არსებითი როლი შეასრულა საქართველოში ახალი ისლამური მოძრაობის განვითარებაში.

ცვლილებები ამ კუთხით დაიწყო 1990–2000 წლებიდან, როცა მუსულმანი ახალგაზრდებისთვის გაიხსნა შესაძლებლობების გზა უმაღლესი რელიგიური განათლების მიღებისთვის ეგვიპტის უმაღლეს სასწავლებლებში, საუდის არაბეთსა და ირანში. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდები ყველა ღონეს იყენებდნენ ისლამური სწავლებისთვის ისეთი მიმართულებები მიეცათ საქართველოს მუსულმანებისთვის, როგორიც ისწავლეს უცხო ქვეყნებში. მხედველობაში გვაქვს ნაციონალური ტრადიციების და რელიგიური ინტერესების დაცვა, რაც, გარკვეულწილად, რადიკალურ მიმართულებებს გულისხმობს.

საქართველოში 2000–2014 წლებში კომფორტულ ვითარებაში აღმოჩნდნენ სალაფიტური ჯგუფები, დარეგისტრირდა საზოგადოებრივი ორგანიზაციები მისი უმაღლესი ფორმით — არასამთავრობო ორგანიზაცია და დაიწყეს სოღანლუღში, თბილისის ცენტრთან ახლოს, ოფისების გახსნა.

რადიკალური სალაფიტური ჯგუფების აქტივობები შეინიშნება კახეთში, როგორც ამბობენ, აქვთ ძლიერი პოტენციალი ქვემო ქართლში.

მარგინალური ჯგუფების წარმოშობას და მათ გარდაქმნას რადიკალურ გაერთიანებებად ბოლო 20–25 წლის განმავლობაში საქართველოში ხელი შეუწყო პოლიტიკური ნების არქონამ. საქართველო ჩაფლულია საერთაშორისო ვალდებულებებში და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ნაციონალურ უმცირესობებს წლების განმავლობაში განსაკუთრებული ლოიალობით ეპყრობოდა.

ამანაც განაპირობა მარგინალური ჯგუფების წარმოქმნა, განვითარება და გაძლიერება.

თვალნათლივ ჩანს, რომ ხელოვნურად იქმნება წინააღმდეგობების კერები სუნიტებსა და შიიტებს შორის. ხელოვნურად ფართოვდება რადიკალური ჯგუფები, რომლებიც წინააღმდეგობაში არიან ერთმანეთთან, თვით ერთი სოფლის მაცხოვრებლებშიც კი.

როგორც ვთქვი, ახალგაზრდებში ეს რადიკალიზმი განსაკუთრებით იგრძნობა.

დღესდღეობით, საქართველოს ხელისუფლების რეაგირება ამ საკითხებზე, შეიძლება ითქვას, ადეკვატურია, თუმცა სახელმწიფო ორგანიზაციების დონეზე ჯერ არ არის შემუშავებული არარეპრესიული ხასიათის სტრუქტურული მექანიზმები ასეთი ტიპის პრობლემების გასანეიტრალებლად.

რაც შეეხება საქართველოს მუსულმანებს, მათ დიდ ნაწილს არ ხიბლავს ირანელი მისიონერების მოღვაწეობა და აშფოთებთ ეს რელიგიური სწავლება, რადგან იგი ქმნის სუნიტებსა და შიიტებს შორის წინააღმდეგობას. მათი დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ თავად აზერბაიჯანულ ერთობას შორის ეს საგანგაშო ბზარს აჩენს.

ადგილობრივი აზერბაიჯანელები ამბობენ, რომ ირანელი მისიონერები საქართველოში ჩამოვიდნენ, დაახლოებით, 15 წლის წინათ და დაიწყეს შიიტური მუსულმანობის პროპაგანდა. მათ გახსნილი აქვთ რელიგიური ცენტრები, სკოლები და მედრესეები. წლების განმავლობაში ეხმარებოდნენ ადგილობრივ სტუდენტებს თანხებით ირანში სასწავლებლად გასამგზავრებლად. აფინანსებდნენ რელიგიურ გაზეთებს და ჟურნალებს.



ბოლო წლებში საქართველოში ორი ირანული ორგანიზაცია შეიქმნა. ესენია: „ახლი-ბეითი“ და „ალულ-ბეითი“.

„ახლი-ბეითის“ წარმომადგენელი საქართველოში რასიმ მამედოვი ამბობს, რომ ეს ორგანიზაციები აღნიშნავენ მხოლოდ შიიტურ დღესასწაულებს და უფასოდ ასწავლიან აზერბაიჯანელ ბავშვებს ინგლისურს, ქართულს და რელიგიის ისტორიას.

ორგანიზაცია უკვე გამოსცემს იგივე სახელწოდების უფასო ჟურნალს მარნეულში.

ირანელი მისიონერების მოღვაწეობამ შედეგი უკვე გამოიღო. ბოლო ორ წელიწადში მარნეულის ქუჩებში სულ უფრო და უფრო ხშირად დაინახავთ ხიჯაბიან ქალებს და ირანულად სრულად შემოსილ ადამიანებს.

მარნეულში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ქვემო ქართლში მუდამ იყო ერთი რელიგია და ეს იყო ურთიერთგაგება.

„ჩვენ არ ვყოფდით შიიტებსა და სუნიტებს. ჩვენ ერთად დავდიოდით დაკრძალვებზე და ქორწილებში, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა. უკვე გამოიკვეთა გარკვეული ძალების პოლიტიკური და იდეოლოგიური ინტერესები“, — აცხადებენ აზერბაიჯანელი საზოგადოებრივი აქტივისტები.

ფაიგ ნაბიევი, რომელიც არის ორგანიზაცია „ალულ-ბეითის“ ხელმძღვანელი, არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ირანული ორგანიზაციები რელიგიურ გახლეჩას უწყობენ ხელს. ის ამტკიცებს, რომ მათი მიზანია მოსახლეობის განათლება, რაც რელიგიური ცოდნის გამდიდრებასაც გულისხმობს. ის ამბობს, რომ მოსალოდნელია საერთო-მუსულმანური კონგრესის შექმნა, სადაც შევლენ როგორც შიიტი, ასევე სუნიტი მუსულმანები.

ჩემი მონაცემებით, 1990-იან წლებში საქართველოში მუსულმანური მოსახლეობის 90% სუნიტური მიმდინარეობის იყო, ახლა მოსახლეობის 60% შიიტურია.

გასულ წლებში საქართველოს ხელისუფლებამ ადეკვატურად და სწორად შეაფასა სიტუაცია და გადაწყვიტა მკვეთრი ზომები მიეღო. შეიქმნა საქართველოს მუსულმანთა მმართველობა, რომელსაც ხელისუფლება აფინანსებდა.

2018 წლის დასაწყისში ირანელი ემისრების მასობრივი გადინება მოხდა საქართველოდან ხელისუფლების ნებით.

ირანის კულტურულმა ცენტრმა საქართველოში მოქმედება დაიწყო ჯერ კიდევ 2010 წელს და მისი ლიდერი გახდა მეხდი მუსტაფა. მეხდი მუსტაფა გახლავთ ირანის პრეზიდენტის მრჩეველი და ირანის კულტურული და მუსულმანური ურთიერთობების ორგანიზაციის წარმომადგენელი.

მოგეხსენებათ, საქართველოს აღებული აქვს ნატოში გაწევრიანების კურსი. ირანი კი არ უყურებს ამ ფაქტს კეთილი თვალი თ. თუნდაც აქედან გამომდინარე, საქართველო სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას.

ირანის სპეცსამსახურების გეგმაზობიერი მოქმედებები, გაავრცელონ შიიზმი, როგორც ჩანს, მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს მუსულმანი საზოგადოების, აზერბაიჯანელების და სხვების, არამედ რეგიონის მაცხოვრებლებისადმი, საერთოდ.

ირანს, როგორც იცით, ერთ დროს ეკუთვნოდა ახლანდელი თურქეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, სირია, პალესტინა, ერაყი, კავკასია, საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი, შუა აზია არალის ზღვამდე, ინდოეთი, მდინარე ინდამდე, ანუ პაკისტანიც.

ამ ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ირანი მალე დაკარგავს ქურთისტანს და დიდი შანსია, დაკარგოს გავლენები ავღანეთის მოსაზღვრე რეგიონებზეც, რადგან სპარსელები იქაც უმცირესობაში არიან. მათი რელიგიური ლიდერები ცდილობენ თავიანთ მრევლთან ე.წ. ავტონომიები იქონიონ და ასე შეინარჩუნონ არსებობა.

იმის მიუხედავად, რომ ირანს პრობლემები აქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო თვალსაზრისით, ის ცდილობს, კავკასიის რეგიონში პოზიციები დაიბრუნოს და ამჯერად, სურს სომხეთს გარკვეული ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა აღმოუჩინოს, რითაც მოუახლოვდება კავკასიაში ვითომდა მის კუთვნილ აზერბაიჯანს, რომლის შემდეგაც, სავარაუდოდ, აქტიურ ფაზაში გადავა ირანის ინტერესების გაფართოების საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# საინტერესო და სასაცილო ისტორიები



— მითრიდატე VI ხშირად იღებდა შხამის მცირე დოზებს, რათა მოწამვლის მცდელობის შემთხვევაში, ორგანიზმს შესწეოდა შხამთან გამკლავება. მან მართლაც შეძლო გამოემუშავებინა ეს უნარი და როდესაც სურდა მოეკლა თავი შხამით არ გამოუვიდა, ამიტომ დაწყებული საქმე ხმლით დაასრულა მისმა მსახურმა.

* * *

— პირველი ცნობილი ბიოლოგიური შეტევა მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე -6 საუკუნეში. სოლონი საბერძნეთის ქალაქ კირაში შეიჭრა და მის დასაპყრობად ჯერ მდინარის კალაპოტი შეცვალა, რომ უწყლობით შეექმნა პრობლემა მოსახლეობისთვის, ხოლო შემდეგ ბრძანა, რომ ჩემერიცას (მრავალწლიანი შხამიანი მცენარე) ფესვები გადაეყარათ პლეისტოს წყალში, რამაც მოსახლეობის დიდ ნაწილში გამოიწვია კუჭის აშლილობა და ძლიერი ტკივილები.

* * *

— რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საფრანგეთში, მე-17 საუკუნეში, მეფე ლუი XIV ურთიერთობას ღირსეულად მიიჩნევდნენ მისი ტუალეტში ყოფნის პერიოდში.

* * *

— ძველ ეგვიპტეში ქალები თმაში ცხიმის ნაჭერს ატარებდნენ. ცხიმის ნაჭერი სიცხეში დნებოდა და თმას მბზინვარე, სველ ეფექტს აძლევდა.

* * *

— ბერძენმა იმპერატორმა დრაკომ, თავისი მმართველობა უცნაურად დაასრულა. ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს, მას თაყვანისმცემლებმა ქუდები და მოსასხამები ესროლეს, რის შედეგადაც მმართველი უბრალოდ დაიხრჩო.



* * *

— 1740 წელს ძროხა დაადანაშაულეს ჯადოქრობაში და ჩამოახრჩვეს.

* * *

— ალპებში აღმოაჩინეს მსოფლიოში პირველი ალპინისტი. ყინულში ნანახი სხეული 5 000 წელზე მეტს ითვლის.

* * *

— შვეიცარიის დედოფალ ქრისტინას ჰქონდა მინიატურული თოფი ბუზებზე სანადიროდ.



* * *

— მე-16 საუკუნეში, ჩინეთში გავრცელებული დასჯის ფორმა იყო ერთი ფუნტი მარილის შეჭმა.

* * *

— ძველი კელტელები ბრძოლაში განსაკუთრებით საშიშები იყვნენ. ისინი ბრძოლის წინ შიშვლდებოდნენ, თავს წითლად, ხოლო სხეულ-ლურჯად იღებავდნენ. მათი დანახვა მტერს შიშს გვრიდა.

* * *

— ჰუნების ბელადი, დიდებული ატილა მოკვდა საქორწინო ღამეს, ცხვირიდან სისხლდენით.

* * *

— ჩანგლით ჭამა თავიდან აკრძალული იყო სასულიერო ფორმულირებით: „საკვები, უნდა მიიღო იმით, რაც ღმერთმა გიბოძა", ანუ თითებით.

* * *

— თემურ ლენგი სჯიდა ყველას, ვინც მას უკვე გაგონილ ხუმრობას მოუყვებოდა.

„საერთო გაზეთის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ გური ოტობაიას დის ქეთევან ფეტელავას გარდაცვალების გამო.

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.**

**ტელ: 593 78 64 69**



* * *

— **ჩემი ქალიშვილი 2021 წლის ივნისის თვეში გათხოვდა. ისინი განქორწინებას აპირებენ. ეკუთვნის თუ არა ჩემს ქალიშვილს ქმრის ქონებიდან წილი?**

— რამდენადაც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, ახლადსეუღლებულებს ქორწინების განმავლობაში ერთობლივად არაფერი შეუძენიათ, ასევე, სახლკარი, რომელზედაც პრეტენზია გაუჩნდა რძალს, ირიცხება არა მეუღლის, არამედ, მისი მშობლების საკუთრებაში. შესაბამისად, თქვენი ქალიშვილი განქორწინების შემდეგ ვერაფერს მიიღებს. აქვე დავძენ, რომ ქონება, თუ ერთად ცხოვრების მანძილზე არ იქნა შეძენილი / იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება მხოლოდ-დამხოლოდ!/თუნდაც, რიცხული ყოფილიყო მეუღლის საკუთრებაში, გაყოფას მაინც ვერ დაექვემდებარებოდა. ასევე, ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ თქვენი ქალიშვილი არც ფეხმძიმედაა, მომავალ შვილთან დაკავშირებით რომ გარკვეული თემები განგვეხილა.

* * *

— **მინდა, ჩემი სახლისა და ნაკვეთის ნახევარი ახლობელს ვაჩუქო, ოღონდ, არსებობს ერთი პრობლემა: ჩემი ახლობელი სოციალურად დაუცველი პირია. მაქვს ასეთი შეკითხვა: ჩუქების შემთხვევაში მოეხსნება თუ არა სოციალური დახმარება, ან მირჩიეთ, როგორ ვაჩუქო ისე, რომ მას პრობლემები არ შეექმნეს სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებით?**

— ეს არის შეკითხვა, რომელზედაც მხოლოდ სამართლებრივი პასუხის გაცემა შემიძლია. სავარაუდოდ, შეიძლება მოეხსნას ქონების დაფიქსირების შემთხვევაში თქვენს ახლობელს სოციალური დახმარება. როგორც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, სასაჩუქრე ქონება არაა მიზერული ოდენობის. შესაბამისად, სარეიტინგო ქულები არ დარჩება იმ ოდენობის, რომ სოციალური შეღავათები დარჩეს. თუმცა, მე დაზუსტებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან საბოლოოდ, ეს შესაბამისმა კომისიამ, საკითხის შესწავლის შემდეგ, უნდა გადაგიწყვიტოთ. თქვენი შეკითხვის მეორე ნახევართან დაკავშირებით, მე ვერაფერს გირჩევთ, რადგან უძრავი ქონების ჩუქება დარეგისტრირების გარეშე ვერ ჩაითვლება რეალურ ჩუქებად. ამასთან, ვიმეორებ, მე მხოლოდ სამართლებრივი პასუხების გაცემა შემიძლია.

* * *

— **ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?**

— თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა და სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

* * *

— **ბუნებრივია, ვიცი, რომ მაქვს თანხის გასესხების უფლება. მე მაინტერესებს, თანხის გასესხებას პროცენტით თუ ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა. ანუ, შემიძლია თუ არა, თანხა გავასესხო პროცენტით?**

— დიახ, შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი: პროცენტი სესხისათვის

სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

* * *

— **მაინტერესებს ხანდაზმულობის კონკრეტული ვადები.**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე- 2 თავი მთლიანად ეძღვნება ხანდაზმულობის თემას.

128–3 მუხლის მე-3 ნაწილი: ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

**მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა**

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს / მაგალითად, სესხის ხელშეკრულება/, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

* * *

— **რას ნიშნავს სოლიდარული ვალდებულება?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობაა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

# ბენაზირ ბჰუტო – პაკისტანის „შავი ვარდი“

ბენაზირ ბჰუტო, რომელსაც პაკისტანელებმა „შავი ვარდი“ შეარქვეს, სამართლიანად მიიჩნევა მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ პოლიტიკურ მოღვაწედ. ინტელექტუალს, დამოუკიდებელ და მიზანმიმართულ ქალბატონს, რომელმაც ჰარვარდი და ოქსფოდრი დაამთავრა, ხშირად ადარებდნენ კლეოპატრას. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბევრი გააკეთა პაკისტანელი ქალების გათავისუფლებისთვის, მას ამყარებდნენ იმედებს ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეში. სწორედ მისი მმართველობის დროს გახდა მედიცინა უფასო. თუმცა ბჰუტოს პერიოდში ფრთები გა-



შალა კორუფციამ. ის ეჭვმიტანილი იყო მილიონობით დოლარის გათეთრებაში და მკვლელობების თანამონაწილეობაში.

2008 წლის დადგომამდე ოთხი დღით ადრე მსოფლიო პაკისტანიდან გავრცელებულმა შემზარავმა კადრებმა შეაძრწუნა — ჯიპი, რომლითაც ბენაზირ ბჰუტო გადაადგილდებოდა, ტყვიებით იყო დაცხრილული და სისხლით მოსვრილი... ტერაქტის შემდეგ ბჰუტო საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

პაკისტანში ბევრი მიიჩნევდა, რომ დიდ პოლიტიკაში ქალის ადგილი არ იყო, მით უმეტეს, მუსულმანურ ქვეყანაში მთავრობას ვერ ჩაუდგებოდა სათავეში, მაგრამ ბჰუტო ორჯერ გახდა ქვეყნის პრემიერი.

ბენაზირის ბაბუა და მამა თავადები იყვნენ, რომლებიც ინდოეთის პროვინცია დინდის მმართველები იყვნენ. ბჰუტოს ოჯახის წევრებს დასავლეთში ჰქონდათ მიღებული განათლება და ლიბერალურ შეხედულებებს იზიარებდნენ. ჯერ კიდევ ბავშვობაში გადაწყვიტა ბენაზირმა, რომ ჩადრს არ ჩაიცვამდა, რასაც მშობლებიც არ ეწინააღმდეგებოდნენ. გოგონა პაკისტანის კათოლიკურ სკოლებში სწავლობდა, შემდეგ კი წარმატებით დაამთავრა ჰარვარდი და ოქსფორდი. მისი სიტყვებით, პირველად საზღვარგარეთ შეიგრძნო დემოკრატიის გემო და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პოლიტიკაში სცადა ბედი.

ბენაზირი ყოველთვის სისტემის წინააღმდეგ მიდიოდა, გამონაკლისი მხოლოდ პაკისტანის პრეზიდენტთან ასიფ ზარდარისთან ქორწინება გახდა. ბჰუტოს გარემოცვაში ამბობდნენ, რომ ისინი ანგარიშით დაქორწინდნენ — ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური დინასტია ისლამური სამყაროს ყველაზე მდიდარ ოჯახს შეუერთდა.

ბენაზირის თქმით, ასიფში მან ის ადამიანი დაინახა, ვისაც შეეძლო მიეღო და გაეზიარებინა მისი პროგრესული შეხედულებები. მათ სამი შვილი შეეძინათ, რომლებიც მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სწავლობდნენ.

1977 წლის სამხედრო გადატრიალების დროს ბენაზირის მამა, პაკისტანის მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ალი ბჰუტო დააპატიმრეს. ციხეში მოხვდა ბენაზირიც.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს პოლიტიკოსები (აშშ-ის პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, ინდოეთის ლიდერი ინდირა განდი, ბრიტანეთის პრემიერი მარგარეტ ტეტჩერი და საბჭოთა გენმდივანი ლეონიდ ბრეჟნევი) ჩაერიენ და ითხოვეს განაჩენის შემსუბუქება, ზულფიკარ ალი სიკვდილით დასაჯეს.



ბენაზირს დიპლომატობა უნდოდა, მაგრამ მამის დასჯის შემდეგ გადაწყვიტა, პაკისტანის პირველი ქალი-პრემიერი გამხდარიყო. ამის გაკეთება ადვილი არ იყო — მიუხედავად იმისა, რომ მამამისს უდანაშაულო მსხვერპლად მიიჩნევდნენ, ის ქალი იყო. სწორედ ამიტომ იბრძოდა ბენაზირი მთელი ცხოვრება გენდერული თანასწორობისთვის.

ბენაზირი მაინც გახდა პრემიერი. 1988 წელს მან ფიცი დადო. თანამდებობის დაკავების შემდეგ ის იძულებული იყო, უარი ეთქვა ცხოვრების ევროპულ სტილზე. იმის უფლება კი დაიტოვა, რომ ძვირფასი სამოსი და სამკაულები ეტარებინა.

ამბობდნენ, რომ ბენაზირის მმართველობა არათანდმიდევრული და პარადოქსულიც კი იყო. ბევრი რამ გაკეთდა ქალების გათავისუფლებისთვის, პაკისტანში სამედიცინო მომსახურება უფასო გახდა, ბევრმა ადამიანმა შეისწავლა წერა-კითხვა, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება დაიწყო.

თუმცა ბევრი ინიციატივა წარმატებით არ დასრულებულა — ნარკოვაჭრობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული კამპანია ჩაიშალა, შედეგი არ მოიტანა მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლამაც, ქვეყანაში კი უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია კორუფციამ.

კორუფციული სკანდალით დასრულდა ბენაზირის მმართველობის მეორე ვადა. ბჰუტო-ზარდარის წყვილი დაადანაშაულეს 12 მილიონი დოლარის გათეთრებაში, რომელიც შვეიცარიის ბანკებიდან უკანონოდ მიიღეს. გამოძიებას ბენაზირის ძმა მურთაზი მოითხოვდა. მამაკაცი უცნაურ გარემოებებში დაიღუპა, რაშიც ბენაზირი და მისი მეუღლე დაადანაშაულეს. მათი ავტორიტეტი ხალხში სწრაფად ეცემოდა.



ხალხის უკმაყოფილებას ისიც ასაზრდოებდა, რომ ჭორების თანახმად, ბენაზირის ოჯახი ვარდისფერი მარმარილოს სასახლეში ცხოვრობდა, აწყობდნენ უზარმაზარ მიღებებს და დიდ თანხებს ხარჯავდნენ მაშინ, როცა ქვეყანაში ყოველი მესამე პაკისტანელი შიმშილობდა.

გამოძიებისთვის თავის არიდების მიზნით 1999 წელს ბენაზირმა შვილებთან ერთად ქვეყანა დატოვა, ჯერ დუბაიში ცხოვრობდა, მერე კი ლონდონში — კითხულობდა ლექციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და პარტიას ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად სკანდალებისა, რომელთა ცენტრშიც პრემიერი აღმოჩნდა, ქვეყანაში ის უყვარდათ. სხვაგვარად ექცეოდნენ მის მეუღლეს, რომელიც ქვეყანას სათავეში 2008 წელს, ბენაზირის გარდაცვალების შემდეგ ჩაუდგა. მას ხარბ, სუსტ და არაკომპეტენტურ ადამიანად თვლიდნენ და ამბობდნენ, რომ ის პოლიტიკაში ცოლმა „შეათრია“.

ბევრს არ მოსწონდა ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც პრეზიდენტი იღებდა.

განსაკუთრებულ აღშფოთებას ზარდარის სიმდიდრისადმი სიყვარული იწვევდა. ბენაზირს და მის მეუღლეს ბევრი უძრავი ქონება ჰქონდათ, თუმცა ზარდარი უარყოფდა ამას.

პაკისტანიდან წასვლის შემდეგ ბენაზირ ბჰუტომ საზღვარგარეთ რვა წელი იცხოვრა. ქვეყანაში მხოლოდ მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ამნისტიას დაპირდნენ. ქვეყანაში რადიკალურ ისლამისტებთან ბრძოლისთვის ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა და ჯარი უნდა გაერთიანებულიყვნენ. ექსტრემისტები ყოფილ პრემიერს ემუქრებოდნენ, რომ გაუსწორდებოდნენ.

2007 წლის 18 ოქტომბერს ქვეყანაში ჩამოსვლის პირველივე დღეს განხორციელებული ტერაქტის დროს 130 ადამიანი გარდაიცვალა, 500 — დაიჭრა. ბენაზირი გადარჩა.

ორი თვის შემდეგ მის წინააღმდეგ მეორე ტერაქტი მოაწყვეს. 20 ადამიანზე მეტი გარდაიცვალა, თავად ექს-პრემიერი მრავლობითი ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა.

ბჰუტოს გარდაცვალებიდან 9 თვის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა მისმა პარტიამ, ხოლო ბენაზირის ქმარი ასიფ ალი ზარდარი პაკისტანის პრეზიდენტი გახდა.

კიდევ რამდენიმე თვის შემდეგ შვეიცარიაში დახურეს მის წინააღმდეგ აღძრული საქმე კორუფციასა და ფულის გათეთრების ბრალდებით და ყადაღა ახსნეს მის კუთვნილ 60 მლნ დოლარს. ზარდარის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ მისი ფსიქიკა 11 წლის ციხეში ყოფნის შედეგად (ის ბრალდებული იყო ნარკოტიკების კონტრაბანდაში, კორუფციაში და მკვლელობების თანამონაწილეობაში) სერიოზულად შეირყა.

რაც შეეხება ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობის გამოძიებას, გაეროს კომისიამ ვერ მიიღო პასუხები ყველა კითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით 5 მლნ დოლარი დაიხარჯა. გაეროს ანგარიშის თანახმად, პაკისტანის სამართალდამცავებმა და ქვეყნის ფედერალურმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ბენაზირ ბჰუტოს უსაფრთხოება.

ერთი რამ კი ცხადია: ბჰუტო მსოფლიოში პირველი ქალი იყო, რომელიც სათავეში ედგა მუსულმანურ ქვეყანას და „მესამე სამყაროს“ ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკური ლიდერი გახლდათ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99